წლიწადი მესამე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 18 დეკემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 48

## ჟურნალის შინაარსი

ვისი წარმომადგენლები ბრძანდებიან— **ყარიბი**; ჩინეთის ჯალათები ზიემობენ—**ს. ელიაძე**; ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები— **ალ. ხელაძე**; მუშათა პარტიის ლიბერალიზმი— **ი. ნარსია**; რა სურს ემიგრაციას— **ლეო შენგელაია**; ძველი ოცნების უკანასკნელი ნამსხვრევები— **კ. ქეიშვილი**; თბილისის ალმასკომის მუშაობა — **შალვა გომართელი**; გზაჯვერედინზე— მოთხრობა— **გრ. მაჭავარიანი**; ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკების განცხადება.

# ვისი წარმომადგენლები ბრძანდებიან

ჟორდანია და მისი „მთავრობა" ევროპაში თავს ქართველი ხალხისა და ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებათ ასაღებენ.

მთელი ხალხის სახელით ისინი ელაპარაკებიან ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებს. მთელი ხალხის სახელით საფრანგეთის მთავრობასთან მათ შექმნეს საქართველოს წარმომადგენლების ბუტაფორია აკაკი ჩხენკელის სახით.

მართალია, ამ წარმომადგენლობას არავითარი იურიდიული და ფაქტიური შინაარსი არა აქვს, თუ ასეთად არ მივიღებთ იმ სასაცილო ფარსს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ როცა საფრანგეთის პრეზიდენტი სანადიროთ წაბრძანდება, მან, რიტუალის მიხედვით, ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც უნდა მიიპატიჟოს და სხვათა შორის, ასეთი საპატიო მიპატიჟების ღირსი, ალბათ, საქართველოს „წარმომადგენელიც" იქნება ხოლმე...

ეს არის და ეს. საფრანგეთში საქართველოს წარმომადგენლობა", იმდენად, რამდენადაც ეს წარმომადგენლობა ჟორდანიასა და მისი მთავრობის ხელშია, მხოლოდ ამ რიტუალით ამოიწურება.

ს. ს.-დ. პარტიის წარმომადგენლობას, რა თქმა უნდა, იმპერიალისტურ მთავრობებს ვერ გაუმხელენ ხოლმე ეს ვაჟბატონები. მაგრამ ეს წარმომადგენლობა, ესე იგი ქართველი მუშებისა და გლეხების სახელით ლაპარაკი მათ ესაჭიროებათ ევროპის მუშების მოსატყუებლად, ევროპის პროლეტარიატის თვალების ასახვევათ....

ევროპის ბურჟუაზიამ ჩინებულად იცის ჟორდანიასა და მისი მთავრობის ფასი და წონა. ამ ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა ჩინებულად იციოდენ ბათომში, რომ ჟორდანია და მისი „მთავრობა" საქართველოს დამფუძნებელი კრებას არავითარი დავალებით არ გაუგზავნია ევროპაში. პირიქით, მათ იციან, რომ დამფუძნებელმა კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე უნდობლობა გამოუცხადა ჟორდანიასა და საერთოდ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას...

იმპერიალისტური სახელმწიფოს მთავრობებმა ეს ჩინებულად იციან, მაგრამ რა ენაღვლებათ? თეატრი ხომ ბუტაფორიით არ ვარგა და ევროპის დიპლომატიაც საჭირო დროზე ასეთ ბუტაფორიულ „წარმომადგენლობასაც" იყენებს ხოლმე.

სულ სხვა მდგომარეობაშია ამ მხრით ევროპის პროლეტარიატი. მას მართლაც ჰგონია, რომ ჟორდანია და საერთოდ ქართველი ემიგრაციის ლიდერები ს. ს.-დ. პარტიის ნდობით არიან აღჭურვილი. მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა ევროპის პროლეტარიატს ყურები გამოუჭედეს იმაზე წერითა და ლაპარაკით, რომ ს. ს.-დ. პარტიამ საქართველოში შექმნა „სოციალისტური სამოთხე"... რომ ეს „სამოთხე" მთელ ქვეყანაზე გავრცელდებოდა, თუ მოსკოვის ოკუპანტებს ის ჯოჯოხეთად არ გადაექციათ და ქვეყნად სამოთხის შემქნელი პარტია საქართველოდან არ გაედევნათ.

ეს სჯერა ევროპის პროლეტარიატის ერთ ნაწილს მაინც. ეს სჯერა ყოველ შემთხვევაში ევროპის მუშების იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალის ტიბიკონზე ლოცულობს.

ამიტომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა მოთხრათ ქვეყანას, რომ ჟორდანია-რამიშვილისა და მათი ამხანაგებისთვის, რომლებიც დღეს თავის თავს საქართველოს ხალხისა და ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებათ ასაღებენ, არავის არ დაუვალებია არც ერთის, არც მეორის წარმომადგენლობა.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საქმენი საგმირონი ჯერ შესწავლილი და დაფასებული არ არის. მაგრამ მაინც საკმაოთ ითქვა და დაიწერა დამფუძნებელი კრებისა და ჟორდანიას მთავრობის უკანასკნელი დღეების შესახებ. თვითონ ჩვენ სულ ორიოდე კვირის წინათ მოვიყვანეთ საბუთები იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას დამფუძნებელმა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა. (იხ. „ახალი გზა", № 46, 1927 წელი). მაგრამ ჯერ არაფერი არ თქმულა იმის შესახებ, რომ იმავე მთავრობას ბათომში ასეთივე უნდობლობა გამოუცხადა ს.-დ. პარტიამაც.

და ეს გარემოება არ იცის არა თუ ევროპის პროლეტარიატმა, არ იცის საქართველოს მუშებისა და გლეხების მასებმაც.

ამ წერილში ჩვენ ვეცდებით აღვადგინოთ საქართველოს მშრომელთა მეხსიერებაში ის გარემოება, რომ

ს. ს.-დ. პარტიის კონფერენციამ ჟორდანიასა და მის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

ამ მომენტის გაშუქება ჩვენ მიგვაჩნია ყველა ჩვენი ამხანაგების მოვალეობად, რადგანაც ეს ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტია და ის არ უნდა დაეკარგოს ს. ს.-დ ისტორიის მკვლევარს.

ჩვენ ეს მით უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ს.-დ. რესპუბლიკისა და ს.-დ. პარტიის დიდი ტრაგედიის მოწამენი და მონაწილენი დღეს ცოცხალი არიან. მაშასადამე, ჩვენი ვალია აღვნიშნოთ ყოველივე დეტალი ამ ტრაგედიისა, რომელიც, საუბედუროდ, მარტო ბათომის მარცხით არ გათავებულა, რომელიც განმეორდა 1924 წ. აგვისტოს თვეში და ასე ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს, რაც შეიძლება კიდევ განმეორდეს მომავალშიც, თუ ჟორდანია-რამიშვილმა ქართველი ხალხის დამღუპველ პოლიტიკაზე ხელი არ აიღეს და თუ ჩვენში კიდევ აღმოჩნდებიან ისეთი გიჟები, რომლებიც მათ რჩევა-დარიგებას დაუჯერებენ...

მაშასადამე, შევუდგეთ ჩვენს მოთხრობას.

ბათომში მარტო დამფუძნებელი კრების წევრები კი არ იყვნენ მთავრობის უკმაყოფილო. კიდევ უფრო გულგატეხილები იყვნენ მაზე პარტიის უფრო თვალსაჩინო და პასუხისმგებელი წევრები.

ამ უკმაყოფილებას ერთგვარი სინტეზი გაუკეთა ს. ს.-დ. პარტიის ერთმა პატარა ჯგუფმა, რომელიც გამოვიდა ბათომში ს.-დ. პარტიის კონფერენციის მოწვევის წინადადებით.

ამ ჯგუფის აზრით, კონფერენციას უნდა დაეფასებია მთავრობისა და თვით პარტიის ხელმძღვანელების მოღვაწეობა და გამოეტანა თავისი განაჩენი მათ შესახებ.

ამ ჯგუფის უმეტესობა სამტრედიელი ამხანაგებიდან შესდგებოდა. ინიციატივა მართლაც დროული და მიზანშეწონილი გამოდგა. ყველამ ერთხმად მიიღო იგი. ყველამ ერთხმად დაიძახა:

— მოვწვიოთ კონფერენცია, დავსვათ დამნაშავის სკამზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიო.

კონფერენციის მოწვევა მით უფრო ადვილი საქმე იყო, რომ საერთო უბედურებამ პარტიის თითქმის ყველა თვალსაჩინო წევრები და განსაკუთრებით კომიტეტის წევრები ბათომში მოამწყვდია. ყველა ისინი მუდამ ერთად იყვნენ ბათომის ქალაქის ერთი ციდა ტერიტორიაზე.

ერთი თვალის დახამხამებაში აირჩიეს კომისია ოთხი ამხანაგისაგან, რომელსაც დაევალა ცენტრალურ კომიტეტთან მოლაპარაკება კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ამ კომისიაში არჩეული იქნენ ამხანაგები: დათიკო მიქელაძე, გიორგი დონდუა, ვანო კიკაბიძე და კიდევ რომელიღაც ამხანაგი, რომლის ვინაობაც არ მაგონდება.

ს.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი დასთანხმდა და მეორე თუ მესამე დღეს ს.-დ. პარტიის კონფერენცია მართლაც შესდგა ბათომის ქალაქის სამმართველოს სახლში.

კონფერენციაზე გამოცხადდენ ცეკას ყველა წევრები და აგრეთვე პარტიის თითქმის ყველა თვალსაჩინო წევრები.

ნ. რამიშვილმა და მისმა კამარილამ მოინდომეს კონფერენციიდან უკანასკნელების გამოძევება, მაგრამ დამსწრე ამხანაგებმა მათ ასეთ განცხადებას არ დაემორჩილენ:

— დღეს ისეთი მომენტია, რომ ასეთ ფორმალურ მხარეს ადგილი არ უნდა ჰქონდესო,—და კრებაზე დარჩენ.

თავმჯდომარეობა ყრილობის დაუკითხავად თვითონ ნოე რამიშვილმა იკისრა. მდივნად სეით დევდარიანი იყო.

მოხსენებით გამოვიდა ნ. რამიშვილი.

ჩვენ აქ ვეცდებით სქემატიურად აღვნიშნოთ რამიშვილის მოხსენების უფრო საყურადღებო ადგილები და სრული დარწმუნებული ვართ, რომ თუ მე აქ უნებლიეთ რაიმე შეცდომა მომივა, იქ დამსწრე ამხანაგები ამას გამოსწორებენ და ჭეშმარიტებას აღადგენენ..

რამიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა და პარტია დამარცხებულია. მათ ომი წააგეს... ამის მიზეზათ მომხსენებელმა, სხვათა შორის, დაასახელა სამხედრო მასალებისა და იარაღების უქონლობა. ჩვენ არ გვქონდა საომარი მასალა. ევროპის არც ერთმა წარმომადგენელმა იგი არ მოგვცა... როცა 1920 წლის მაისის თვეში ომს ვაწარმოებდით აზერბეიჯანის წინააღმდეგ, მაშინ მხოლოდ სამი მილიონი ვაზნები გვქონდა.. ჩვენ რომ მაშინ საომარი იარაღი საკმაოთ გვქონოდა, ბაქოს დავიჭერდით.. იმ დროს აზერბეიჯანთან საზავო ხელშეკრულებამ გვიხსნა სკანდალისაგან. მას შემდეგ ამ მხრით ჩვენ არაფერი არ მოგვმატებია... ამიტომ ჩვენ დავმარცხდით...

ჩვენ აშკარად ვამბობთ: დავმარცხდით და მივდივართ საზღვარგარეთ, გვინდა იქ ვიმუშაოთ. ჩვენ ვეცდებით დაუმტკიცოთ ევროპის სახელმწიფოებს ჩვენთვის კომუნისტების წინააღმდეგ დახმარების საჭიროება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას შევძლებთ.

ჩვენმა პარტიამ მთელის ძალღონით უნდა დაგვეხმაროს ამაში. ჩვენ იქ, ევროპაში ვიმუშავებთ, თქვენ აქ, საქართველოში, უნდა იმუშაოთ...

რაში უნდა მდგომარეობდეს ეს თქვენი მუშაობა? პირველი თქვენი მუშაობის საგანი უნდა იქნეს პარტიზანული ჯგუფების მოწყობა. თქვენ პარტიზანული გამოსვლებით უნდა ებრძოლოთ კომუნისტურ ხელისუფლებას. მეორე თქვენი საქმე იქნება ძველი პარტიული აპარატების აღდგენა. თქვენ უნდა აღადგინოთ ეს აპარატები იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობდენ და მოქმედებდენ თვითმპყრობელობის დროს.

მე გავათავე, ამხანაგებო! ორგანიზაციული მუშაობის შესახებ სიტყვა ეძლევა ნოე ხომერიკს.

ნ. ხომერიკი უხსნის ყრილობას თუ როგორ განაახლონ პარტიული იაჩეიკები.

ხომერიკის სიტყვის ეს ნაწილი იწვევს დამსწრეთა შორის დიდ უკმაყოფილებას. ამხანაგების უმეტესობა პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ კონფერენციის მოწვევის დიად მიზანს ასე ამარტივებენ და ამ პარტიის ძველ მოღვაწეებს, რომელთა უმეტესობას რამოდენიმე ათეული წლები უმუშავნიათ არალეგალურად, დღეს იაჩეიკების მოწყობას ასწავლიანო....

ხომერიკი გადადის პარტიზანულ ბრძოლის პრაქტიკაზე. ის უხსნის ყრილობას, თუ როგორ, სად და რა პირობებში უნდა წარმოებდეს პარტიზანული გამოსვლები...

ასეთი იყო ს.-დ. ცეკასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების გამოსვლა.

ყრილობის წევრებიდან პირველი გამოდის ამხ. გიორგი დონდუა. ის ულმობელია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოსა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი. ორატორი მოუწოდებს ყრილობას—სასტიკად დაჰგმოს როგორც ს.-დ. პარტიის ცეკას, ისე ჟორდანიას მთავრობის მოღვაწეობა და უნდობლობა გამოუცხადოს მათ.

ამხანაგი დონდუას სიტყვებს ერთსულოვანი ტაშით და ვაშას ძახილით აჯილდოებს ყრილობის დიდი უმეტესობა.

სიტყვას იღებს შორაპნის მაზრის ერობის გამგეობისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტის წევრი ამხ. მინალარიშვილი. ის უფრო შორს მიდის დონდუაზე. ის ამბობს:—ამხანაგებო! დადგა დრო, როცა მარტო უნდობლობის გამოცხადება არ კმარა. ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ ისინი ღირსი არიან ეშაფოტზე აბრძანებისა. ისინი სიკვდილით უნდა იქნენ დასჯილი! მაგრამ ჩვენ ახლა ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. ჩვენი დამარცხება, ამხანაგებო, მათი გამარჯვებაა, რადგანაც ეს დამარცხება იხსნის მათ ჩვენი სამართლიანი რისხვისაგან... ეს ბატონები ისე გათამამებულან, რომ სრულიად დაუკარგავთ პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი სრულიადაც არ გრძნობენ თავს დამნაშავეთ პარტიისა და ქვეყნის წინაშე... ისინი გვეუბნებიან: ჩვენ ევროპაში

მიებრძანდებით და თქვენ აქ კომუნისტურ პარტიას და მის ხელისუფლებას საიდუმლო იაჩეიკებითა და ხელთოფეებით შეიარაღებული პარტიზანებით ებრძოლეთ, ესე იგი ქართველი ხალხი ავანტიურის მორევში ჩაითრიეთო.

რადგანაც ჩემ მიერ დასახელებული სასჯელი აქ ამ დროებით თქვენთვის მოუხერხებელია, მე ვუერთდები ამხ. დონდუას წინადადებას... ახლა ჩვენ მართლაც არაფერი დაგვრჩენია მის მეტი, რომ უნდობლობა გამოუცხადოთ იმათ, ვინც ასეთ პირობებში ჩააყენეს პარტია და ქვეყანა!..

ამ სიტყვებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ყრილობის წევრებზე. ყველა ტაშს უკრავს ორატორს, ყველა ვაშას ძახილით აჯილდოებს მას.

ორატორები ერთობ შეხურდენ. ყრილობის დიდი უმეტესობა ულმობელობას იჩენს მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელებისადმი...

რამიშვილი და მისი კამარილა დიდ გასაჭირშია... მათ არავინ უჯერავს. მათი არავის ესმის...

ამ დროს სრულიად მოულოდნელად მოისმის თოფის ხმა.

ყველამ ყურები იცქვიტა. ყველამ ხმა გაკმინდა.. რა მოხდა? რა ამბავია?

— თავს დაგვესხენ!

ატყდა ერთი აურ-ზაური, ჩოჩქოლი. ყველა კარებისაკენ მიეშურება. კარებში ერთი შეხლა-შემოხლაა.

ყრილობა დაშლილია. დარბაზში ამის შემდეგ აბა ვის შეიყვან?

მართლაც რა მოხდა?

არვინ იცის.

როცა კარში გამოვიდენ და გული ცოტათი მაინც დაიწყნარეს, ყველა ცდილობს გაიგოს თოფის გავარდნის მიზეზი.

ზოგი ამბობს: კარიდორში მდგომ ჯარისკაცს თოფი უცაბედათ გაუვარდაო.

ოპოზიცია კი იმ აზრის იყო, რომ რამიშვილმა განგებ მოაწყო თოფის გავარდნის ასეთი უცაბედი შემთხვევა იმ მიზნით, რომ იმ ნერვებ აშლილობის დროს ყველა დაეფრთხო და ყრილობა ჩაეშალაო.

აქ მხოლოდ ის იყო მართალი, რომ ყველა შეშინებული იყო. მხოლოდ საქართველოს ბოროტი სული თავისი მეფისტოფელური ღიმილით იღიმებოდა.

ამის შემდეგ ვეკითხებით ჟორდანია-რამიშვილს:

ვისი წარმომადგენლები ბრძანდებიან ისინი?

ვისი სახელით ელაპარაკებიან ისინი ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობებს და ევროპის პროლეტარიატს?

ქარიბი.

# ჩინეთის ჯალათები ზეიმობენ

რამოდენიმე წელიწადია ოთხას მილიონიანი ჩინეთის მშრომელი მასები — გლეხობა, მუშათა კლასი, ხელოსნები და სხვა ორ ფრონტზე აწარმოებენ გაფართოებულ ბრძოლას. ისინი ერთის მხრივ ებრძვიან გარეშე ქვეყნების იმპერიალისტებს ჩინეთში მათი ბატონობის აღმოსაფხვრელად, ხოლო მეორე მხრივ საკუთარი ქვეყნის რეაქციონერებს, რომლებიც მოქმედებენ იმპერიალისტების ფინანსიური და სამხედრო დახმარებით.

ჩინეთის მშრომელი მასების ბრძოლა პირველ ხანებში სწარმოებდა გომინდანის პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ პარტიაში გაერთიანებული იყო როგორც ჩინეთის მუშა და გლეხი, ისე ბურჟუაზიაც, რომლის სურვილი იყო უცხო კაპიტალის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვა და ნაციონალური წარმოების განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

სანამ ჩინეთის რევოლიუცია ატარებდა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს, ჩინეთის ბურჟუაზია და მისი თანამგრძნობი ზოგიერთი გენერლებიც მხარს უჭერდენ ამ მოძრაობას, მაგრამ საკმარისი იყო მშრომელი მასების მიერ საკუთარი კლასიური პრობლემების გადაჭრის მოთხოვნა, რომ ბურჟუაზია დაფრთხა და მაშინვე რეაქციის ბანაკში ამოყო თავი.

ჩან-კაი-შის ღალატი გახდა პირველ მერცხლად ჩინეთის ბურჟუაზიის კონტრ- რევოლიუციის ბანაკში გადაბარგებისათვის. გაერთიანებულმა რეაქციამ შესძლო რევოლიუციის დამარცხება და უმაგალითო რეპრესიებით გაუსწორდა იმ მასებს, რომლებიც თავდადებულად იბრძოდენ ჩინეთის როგორც ეროვნული განვითარებისათვის, ისე თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების გასაუმჯობესებლად.

გათამამებული რეაქცია ზეიმობდა თავის გამარჯვებას. ჩინეთში რევოლიუციონური მოძრაობის დროებით დამარცხებამ ფრთები შეასხა მშრომელი ხალხის მტრებს. მათ საბოლოოდ დამარცხებულად გამოაცხადეს ჩინეთის რევოლიუცია, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. დამარცხებული რევოლიუციონური რაზმები პარტიზანული ბრძოლის მეთოდებზე გადავიდენ. ისინი ზურგიდან ესხმოდენ თავს რეაქციონური გენერლების ჯარებს და დიდ ზიანს აყენებდენ მათ.

ასეთ პირობებში ყოველთვის იყო შესაძლებელი ამ ბრძოლას ჩამოყალიბებული სახე მიეღო და აშკარა სამოქალაქო ომად გადაქცეულიყო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც იმ გენერლებმა, რომლებიც წინედ ეროვნულ - განმანთავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობდენ, მათი ღალატის შემდეგ ყოველგვარი ავტორიტეტი დაკარგეს მშრომელი მასების თვალში და გარიყული აღმოჩნდენ.

ის, რაც ამ დღეებში მოხდა ჩინეთის პროვინცია გუანდუნში, მრავალმხრივ არის საყურადღებო. მუშებისა და გლეხების შეერთებულმა ძალებმა რევოლიუციონური ჯარის ნაწილების დახმარებით ხელთ იგდეს გუნადუნის პროვინციის დედაქალაქი კანტონი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ეს პირველი მაგალითია ჩინეთის ისტორიაში.

მოსალოდნელი იყო, რომ, ამ უდიდეს ფაქტს გულგრილად ვერ შეხვდებოდა ვერც გარეშე ქვეყნების იმპერიალისტები და ვერც ჩინეთის რეაქციონერები. მათ მაშინვე ორ ფრონტზე გააჩაღეს ბრძოლა. ერთის მხრივ დაიწყო გაფართოებული კამპანია საბჭოთა კავშირის და კერძოდ მისი საკონსულოების წინააღმდეგ ჩინეთში და მეორეს მხრივ რეაქციონური ძალების შეტევა კანტონზე.

დეპეშების გადმოცემით, რეაქციონურმა ჯარებმა შესძლეს რევოლიუციონური ჯარების დამარცხება და კანტონის დაპყრობა.

ამ ცნობაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. ჩინეთის რეაქცია ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია რევოლიუცია დროებით დაამარცხოს. მაგრამ ამჟამად მათი მიზანია არა მარტო რევოლიუციონური ჯარების დამარცხება, არამედ რევოლიუციის მონაწილეთა სრული ფიზიკური განადგურება. ამას ადასტურებს შანხაიდან გადმოცემული ცნობაც. გომინდანის ერთ-ერთი ლიდერი, გაიძვერა ვან-ცზინ-ვეი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინეთ „მემარცხენეობას“ ჩემულობდა, ასეთ განკარგულებას აძლევს გენერალ ჩან-ფაქუის:

„საჭიროა დაუყოვნებლივ გადარჩენილ კომუნისტების შეუბრალებლად გაწყვეტა, არ დაინდოთ ახალგაზრდობაც კი, რომელიც მხოლოდ მხურვალე სიტყვების წარმოთქმაშია დამნაშავე. საჭიროა ყოველგვარი მასიური მოძრაობის შეწყვეტა და ყველა იმათი განადგურება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გლეხებისა და მუშების მოძრაობაში“.

ამნაირად რეაქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის განადგურება და მისი წევრების ლინჩის სასამართლოთი ამოჟლეტა. იმპერიალის-

მის ამ დაქირავებულ აგენტებს ჰგონიათ, რომ რეპრესიების საშუალებით ისინი შესძლებენ ჩინეთში რევოლიუციონური მოძრაობის აღმოფხვრას. მათ ავიწყდებათ, რომ რეპრესიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს ნაყოფი, როდესაც ის მიმართულია ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესების დასაცავად, ხოლო როდესაც ერთი მუჭა გაბატონებული ჯგუფები ცდილობენ რეპრესიების საშუალებით თავიანთი ბატონების გახანგრძლივებას, მაშინ ის იღებს საწინააღმდეგო ხასიათს და აჩქარებს რეპრესიის მხმარებელთა დამარცხების პროცესს.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის თვითმპყრობელობა. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელობამ მიმართა უმაგალითო რეპრესიებს. მაგრამ ამით კიდევ უფრო ძლიერი აღშფოთება გამოიწვია ფართე ფენების თვალში და დააჩქარა თვითმპყრობელობის ტახტის დამხობა.

არა ნაკლებ საგულისხმოა დიდების მაძიებელი გენერლის—მოღალატე ჩან-კაი-შის განცხადება. ამ ვაჟბატონს რამდენიმე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ სურს ჩინეთის ნაპოლეონის როლში გამოსვლა. ამ კარიერის გაკეთება გადაწყვეტილი აქვს ევროპის იმპერიალისტების ნდობის დამსახურებით. მიუხედავად ეროვნული მოძრაობის უმაგალითო ღალატისა, ჩან-კაი-შიმ, ჯერ კიდევ ვერ დაიმსახურა იმპერიალისტების თანაგრძნობა და ეხლა საუკეთესო შემთხვევა მიეცა თავისი პოლიტიკური კაპიტალის გასადიდებლად. კანტონში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას ის მთლიანად აწერს ჩინეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ ურთიერთობის შეწყვეტას.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჩან-კაი-ში აცხადებს, რომ, „ამჟამად საბჭოთა რუსეთის საკონსულოები ყოველგან წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის ორგანოებს, შორეული აღმოსავლეთის ბანკის კანტორები კი ამ პარტიის ფინანსიურ ორგანიზაციას. ნაციონალური მოძრაობის წარმატებით დასრულებამდე აუცილებელია საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. და მისი განახლება ჩინეთში ჩვენი საქმის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ. ჩემ მიერ წარმოდგენილი ზომები რომ გაეტარებიათ ცხოვრებაში, გუანდუნში არ მოხდებოდა შეიარაღებული გამოსვლა. ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ ზურგი უნდა ვაქციოთ საბჭოთა კავშირს და გავერთიანდეთ სხვა სახელმწიფოებთან კომუნისტურ პარტიასთან ბრძოლაში“.

ჩან-კაი-შის განცხადებაში სიტყვა - სიტყვით განმეორებულია იმპერიალისტების მიერ მრავალჯერ თქმული ფრაზები, რომ ყველა ის მოძრაობა, რომელიც მიმართულია მყვლეფელთა ბატონობის საწინააღმდეგოთ, გამომდინარეობს საბჭოთა კავშირიდან და დამნაშავეა საბჭოთა ხელისუფლებაო. ასე რომ, აქ ახალი არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ მას ჩან-კაი-ში მაინც იმეორებს, მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალისტების გულის მოსაგებათ და თავისი საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის შესაძენათ.

ფრიად ცინიკურია ჩან-კაი-შის განცხადების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ნაციონალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებაზე. ჩან-კაი-ში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას ასაბუთებს ამ მოძრაობის გამარჯვებით დასრულებისათვის, მაგრამ დღეს ხომ ყველასათვის ნათელია, რომ საბჭოთა კავშირის დახმარების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ჩაგრულ ერთა ნაციონალური განთავისუფლებაზე. ამის სასარგებლოდ ხომ აუარებელი ფაქტები ღაღადებენ. ოსმალეთმა და სპარსეთმა გარეშე ქვეყნების იმპერიალისტების განდევნა საკუთარი ქვეყნებიდან და დამოუკიდებლობის განმტკიცება მიაღწიეს მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მეოხებით.

ჩინეთის ბურჟუაზიამ ვერ შეიგნო ეს ანბანური ჭეშმარიტება. მან იმპერიალისტებთან კავშირი არჩია საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას. ნანკინის მთავრობამ გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ამით თვითონვე უფრო დაზარალდება. იმპერიალისტები მას გაიხდიან სათამაშო ტიკინათ და თავიანთ ნება-სურვილებს უკარნახებენ. მაგრამ არა გვგონია, რომ დიდხანს გაგრძელდეს ნანკინის მთავრობისა და იმპერიალისტების შეხმატკბილებული საქმიანობა.

ჩინეთის რევოლიუცია სრულიად ახალ ფაზაში გადავიდა. დღეს რევოლიუციის ხელმძღვანელობა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ აიღო ხელში. პირველი გამარჯვება მას უკვე ხვდა წილად. მართალია, ეს გამარჯვება დროებით დამარცხებით დასრულდა, მაგრამ ერთი კი უდაო ჭეშმარიტებაა. რომ ჩინეთში განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმოფხვრა არავითარ ძალას აღარ შეუძლია რაც დრო გავა, ეს მოძრაობა თანდათან გაფართოვდება, რევოლიუციის ხელმძღვანელობა ორგანიზაციულად განმტკიცდება და საბოლოო გამარჯვებაც უზრუნველყოფილია.

ამ პროცესის დაჩქარებისათვის კი საჭიროა მთელი ქვეყნის მშრომელი მასების თანაგრძნობა და დახმარება. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა კანტონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით მოწოდებით მიმართა მსოფლიო მუშათა კლასს, ჩაგრულ ერებს და იმპერიალისტური ქვეყნების არმიებს, რომელშიაც მოუწოდებს მათ აქტიური დახმარება აღმოუჩინონ ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

თვითეული მშრომელის მოვალეობაა ფართოთ გამოეხმაუროს ამ მოწოდებას, მოითხოვოს ჩინეთიდან იმპერიალისტური ქვეყნების ჯარების გამოყვანა და ხელი შეუშალოს ჩინეთის რეაქციონერებისათვის სამხედრო იარაღების გადაგზავნას.

ს. ელიაძე.

# ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები

## VI

თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს, საქართველოს მენშევიკური პარტია სარგებლობდა განსაკუთრებული ნდობით და ავტორიტეტით არა მარტო საქართველოს მუშებში, არამედ საქართველოს წვრილ ბურჟუაზიულ წრეებშიც.

ოქტომბრის რევოლიუციამ და სამოქალაქო ომებმა გამოიწვევს როგორც ამიერ - კავკასიის, ისე საქართველოს რუსეთიდან ჩამოცილება და აქ, ჩვენში ნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაარსება. საქართველოს დემოკრატიული, წვრილ - ბურჟუაზიული ხელისუფლება აშკარად დაადგა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გზას და ამ სფეროში ის იდეიურად და პოლიტიკურად შეუერთდა დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ტყუილად კი არ ბრძანა ს. ს.-დ. პარტიის ლიდერმა ნ. ჟორდანიამ „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო“.

ცნობილია, რომ მენშევიკებს რევოლიუციონური ბრძოლა არ სწამთ. ამიტომ არის, რომ ის ვერ ხედავს იმ ყველასთვის აშკარა ფაქტს, რომ საბჭ. კავშირი თავისი სოციალისტური მოძრაობით მაგალითს აძლევს და წინამძღოლად ევლინება დასავლეთის მშრომელ მასებს, გამარჯვების იმედებს უღვიძებს მათ.

საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დროს მთელი სახელმწიფო აპარატი, საზოგადოებრივი აზროვ-

ნება და პრესა მიმართული იყო, როგორც შინაურ კომუნიზმის საფრთხის, ისე კიდევ უფრო „რუსული" კომუნიზმის წინააღმდეგ. მუშათა მასებისათვის, რასაკვირველია უცხო და მიუღებელი იყო ყოველთვის ის, რაც ხდებოდა იმ დროს დემოკრატიულ საქართველოში. ძველი მუშა სოციალ - დემოკრატები, ამ პარტიის ძველი გვარდია, რომელიც შეეზარდა და შეუხსისხლხორცდა რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, რომელთანაც მას არა ერთხელ უგემებია ტანჯვა - წამება, ციმბირი, კატორღა და სიკვდილიც კი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ კომუნიზმის დროშის ქვეშ დარაზმული რუსეთის პროლეტარიატი მისი მოსისხლე მტრის როლში გამოვიდოდა, როგორც ამას მას მენშევიკების ბელადები უქადაგებდენ.

მაგრამ სამწუხაროდ მუშათა დემოკრატია, როგორც ასეთი, მენშევიკურ პარტიაში არ წარმოადგენდა რაიმე გარკვეულ რეალურ ძალას, იმას არ ქონდა მინიჭებული არავითარი როლი სახელმწიფო პოლიტიკის საქმეში. სახელმწიფო პოლიტიკა არ იქმნებოდა და არ სწარმოებდა მისი ნება - სურვილის თანახმად, რაც უმთავრესად უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მუშათა დემოკრატია ათქვეფილი იყო საქართველოს წვრილ ბურჟუაზიულ მასებში.

აი, ეს სოციალურად აჭრელებული მასები შეურიგდენ იმ საფუძველს, რომელზედაც ეყრდნობოდა ანტი ბოლშევიკური კამპანია, ნაციონალური და პოლიტიკური შოვინიზმი, რომლითაც იმ დროს გაჟღენთილი იყო საქართველოს ატმოსფერა.

აშიტომ იყო, რომ საქართველოს სოციალისტურ მუშათა მასებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავისი საკუთარი თვალებით უშუალოდ ეხილათ საბჭოთა რუსეთი. ამ მიზნით საქართველოს მენშევიკურ პროფკავშირებიდან 1920 წელს არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ: ერთი ფედერალისტი, ერთი ესერი, ერთი დაშნაკი, დანარჩენი სულ ყველა ს-დ. მენშევიკები იყვენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთი კაცი არ შედიოდა დელეგაციაში კომუნისტური მუშებიდან, თუმცა ეს უკანასკნელნი იმ დროს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მასიურ ძალას წარმოადგენდენ. მათ ხელში იყო პირველხარისხოვანი კავშირები: ბეჭდვითი სიტყვის, ელექტრონზე, ტყავზე, ლითონზე მომუშავე, თამბაქოს მუშების კავშირი და სხვა..

არც ერთი კომუნისტი დელეგატების გაგზავნა ჩვენ არ მოვინდომეთ და ფედერალისტებს კი სიამოვნებით დაუთმეთ ერთი ადგილი, და ეს იმ დროს, როცა ფედერალისტი მუშები რამოდენიმე ათეულს თუ შეადგენდენ მთელ საქართველოში. ასეთი ადგილი მივეცით ქართველ ესერებს, რომლებსაც ათი კაციც არ გააჩნდათ მთელ საქართველოს მუშებში. მე მახსოვს ის მომენტი, როცა რუსეთში გასაგზავნ მუშათა დელეგაციას, რომელსაც თავმჯდომარედ ალ. დგებუაძე ყავდა დანიშნული, მენშევიკურმა ცეკამ განსაკუთრებული „ნაკაზი" მისცა. ეს „ნაკაზი" დაწერილი იყო თვით ნ. ჟორდანიას მიერ. ჩვენ ვეცდებით დაახლოებით მაინც აღვადგინოთ აქ ამ ნაკაზის შინაარსი. ქართველ მენშევიზმის ბელადმა ამ „ნაკაზში" გამოსთქვა ერთობ ორიგინალური და თანაც სოფისტური აზრი იმის შესახებ, რომ ყველაფერი ვითარდება თავისი საკუთარი გზით, ყველა ერს აქვს თავის სპეციფიური პირობები განვითარებისა, ყოველი ეროვნული მთავრობა არის კანონიერი წარმომადგენელი თავის ხალხისა და ერის. რუსეთის ეროვნულ კულტურაზე აღზრდილმა ხალხმა შექმნა თავისი შესაფერი კომუნისტური ხელისუფლება, რომელიც სავსებით შეეფერება რუსეთის ერის მოთხოვნილება-იდეალებს, რუსეთის ხალხი ამ გზით მიაღწევს განვითარების უაღრეს საფეხურს... სულ სხვაა საქართველო, რომელსაც ისტორიამ მისცა სხვა გზა და მიმართულება, რომელსაც ისტორიამ უანდერძა განვითარების სულ სხვა გზები. ის, საქართველო ამ თავისი სპეციფიური გზით ივლის და მიაღწევს თავისი განვითარების უაღრეს საფეხურს, ის ამ გზით შევა სოციალიზმის წიაღში.

ასე და ამნაირად ჩვენ სხვა და სხვა გზებით მივდივართ, მაგრამ მიზანი კი ერთი გვაქვს. გაუმარჯოს ერთ მიზანსო...

აი, ასეთი ნაკაზით უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვისაკენ საქართველოს მუშათა დელეგაცია.

უნდა მოგახსენოთ, რომ თვით მუშათა დელეგაცი[illegible] დიდი არევ - დარევა იყო. დელეგაციაში არჩეული ამხანაგები ეკითხებოდენ თავის - თავს: როგორ და რით უნდა გავამართლოთ ჩვენი გამოცალკევება, ჩვენი გამოთიშვა რუსეთის პროლეტარიატისაგანო. დელეგაციის თავმჯდომარე საქართველოს გამოცალკევებას ხსნიდა ისტორიული და ტაქტიკური მოსაზრებებით. ის ასე აყენებდა საკითხს: ჩვენ ქართველი მენშევიკები და საერთოდ საქართველოს დემოკრატია, იძულებული შევიქენით გამოგვეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მომენტის მიერ...

ასეთ შეხედულებას მენშევიკური ცეკა არ იზიარებდა. ამ უკანასკნელის აზრით ჩვენ არაფერი საზიარო არ გვქონდა არავისთან და მით უმეტეს რუსეთის ხალხთან... მენშევიკური პარტიის ცეკა დაადგა მორიგე[illegible]სა და თანაც სოფისტურ გზას:

— შენც [illegible]გი ხარ, მეც კარგი ვარ, შენ შენი გზით გაიხორციელე სოციალიზმი, მე ჩემი გზით. საქართველოზე და მის პროლეტარიატზე ზედგამოჭრილია მენშევიკური გზა, რუსეთის მუშებსა და გლეხებზე — ბოლშევიკური.

აქ როგორც ხედავთ საბჭოთა სისტემა, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ემყარება პროლეტარიატის დიქტატურას, პრინციპიალურად მიღებულია, მაგრამ ის მიღებულია მხოლოდ რუსეთისათვის, ის მიუღებელია საქართველოსათვის...

აი ის ფილოსოფია, რომელიც წამოაყენეს მენშევიკებმა, როცა იგრძნეს, რომ რუსეთის პროლეტარიატი მათ ანგარიშს მოსთხოვდა.

სამწუხაროა, რომ მენშევიკურ მუშათა დელეგაციას არ მიეცა საშუალება საბჭოთა ქვეყნები ენახა. რომ ეს დელეგაცია იმ ჟამად წასულიყო საბჭოთა რუსეთში, რომ მას უშუალოდ ეხილა და გაეცნო საბჭოთა რუსეთის ავკარგი, რომ მას თავის საკუთარი თვალებით ეხილა თავისი მოძმე რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა შავ ძალებთან, გაცნობოდა მის სოციალისტურ საქმიანობას, ის არ მოისურვებდა მასთან გათიშულად ბრძოლას, მას ვერავინ გამოიყვანდა საბრძოლველად კომუნისტების წინააღმდეგ. მაგრამ სამწუხაროდ მუშათა დელეგაცია ვერ ეღირსა საბჭოთა რუსეთის ხილვას...

მუშათა დელეგაციის საბჭოთა რუსეთში გაგზავნით მენშევიკების ლიდერებს ორი კურდღლის მოკვლა უნდოდათ. პირველი ის, რომ ისინი საბჭოთა რუსეთში აგზავნიდენ ორტოდოქსალურ მენშევიკებს, ალბად იმ იმედით, რომ ისინი კომუნისტ მუშებს დაუმტკიცებდენ მენშევიკური საქართველოს სოციალისტობას. ამათ თუ ასე შეიძლება ითქვას, უნდა მოეხდინათ საბჭოთა რუსეთში მენშევიკური ინტერვენცია მხოლოდ სრულიად ლეგალური გზით.

მეორეც ის, რომ როცა საქართველოში დაბრუნდებოდენ მენშევიკურად გააშუქებდენ რუსეთში ყოველივე ნახულს და გაგონილს.

მაგრამ ჩვენ პირდაპირ თემას დაუბრუნდეთ. საქართველოში მოხდა გასაბჭოება. ამ მომენტიდან ქართული მენშევიზმი იკრებს თავის გარშემო ყველა ქართულ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს, ყველა ანტი-სოციალისტურ და ანტი - კომუნისტურ წრეებს და იწყებს აშკარად ბრძოლას საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში მენშევიკებს მუშები თანდათან შორდებიან. როგორც წინა წერილშიც აღვნიშნე, კიდევ 1923 წ. მუშების ერთი დიდი ჯგუფი სტოვებს პარტიას და სდგება საბჭოთა პლატფორმაზე. ეს იყო ძველი რე-

ვოლიუციონური მუშები, რომლებიც ველარ შეეგუენ ს. ს.-დ. პარტიის საქართველოს ყველა რეაქციონურ წრეებში გათქვეფას, რომლებმაც ვერ მოითმინეს ქართველი მენშევიკების ბლოკი საქართველოს ყველა რეაქციონურ ძალებთან, იმ ძალებთან, რომლებსაც ეს მუშები თავგამოდებით ებრძოდენ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში. ამ ჯგუფმა, რომელიც 11 ათასი კაცისაგან შესდგებოდა დაავდო მენშევიკური პარტიის რიგები და დადგა საბჭოთა პლატფორმაზე. ამ ჯგუფის გამოსვლა დააჩქარა ქართველი ემიგრაციის ლიდერების აქტივობამ, რაც გამოიხატებოდა რამდენიმე ტერორისტული აქტის შესრულებაში...

რა თქმა უნდა, 11 ათას კაცის წასვლით არ ამოიწურებოდა საქართველოს მრავალრიცხოვანი მენშევიკური პარტია, ამ პარტიას კიდევ ბევრი შერჩა ძველი, რევოლიუციონურ ქარ-ცეცხლში გამოწრთვნილი მუშები... მართალია, ეს მუშები ნეიტრალიტეტს იცავდენ საბჭოთახელისუფლებისა და მენშევიკური პარტიის ბრძოლის დროს, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურამ ცხადად დაანახვა მათ, რომ ჟორდანია - რამიშვილმა გადალახეს გონიერების ყოველივე საზღვარი და დაღუპვის გზაზე მიყავენ მთელი ქართველი ერი... ასეთ დროს გაჩუმება და ნეიტრალობა პროლეტარიატისა და კერძოდ მშრომელი ერის უდიდესი ღალატი იქნებოდა და ასეთ მოღალატეობას ვერ ჩაიდენდა რევოლიუციის ძუძუთი გაზრდილი ქართველი მუშები.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მენშევიკების ის სტიქიური მასიური გადასვლა კომუნისტურ პლატფორმაზე, რასაც ადგილი ქონდა 1924 წელს. ნაძალადევის მუშებმა მოიყარეს თავი, ითათბირეს შექმნილ მდგომარეობაზე და აირჩიეს „მუშათა კომისია“, რომელსაც დაავალეს ბოლო მოეღო ამ გაუგებრობისათვის, რომელსაც ადგილი ქონდა ამ მუშებსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის.

ამ კომისიას დაევალა აგვისტოს ავანტიურის შედეგების მშვიდობიანი ლიკვიდაცია.

„მუშათა კომისია“ ენერგიულად შეუდგა საქმეს და ღირსეულადაც შეასრულა მუშების დავალება. ის იწყებს პროპაგანდა-აგიტაციას, ის ფანტავს უნდობლობის და გაუგებრობის ატმოსფერას. ის მიდის საქართველოს ყველა კუთხე'ში, სადაც მენშევიკების მიერ ყალბი ინფორმაციით გაბოროტებულ წრეებს აძლევს საღს და ობექტიურ ინფორმაციას. ის მიდის „ყაჩაღად“ გავარდნილ ხალხთან იდეური და პოლიტიკური აგიტაციით, უმტკიცებს მათ (რაზმელებს), რომ ისინი შემცდარი არიან, რომ ისინი ჟორდანია - რამიშვილის ფეხის აყოლით ღალატობენ მშრომელ საქართველოს მოსახლეობას, რადგან ებრძვიან საქართველოს მუშურ - გლეხურ ხელისუფლებას, რომ მათი ბრძოლა არის უაღრესად ანტი - ეროვნული, ანტისოციალისტური...

„მუშათა კომისიის“ ასეთმა გულწრფელმა სიტყვამ თავისი ქნა: გახიზნული ხალხის დიდი უმეტესობა ძოვიდა ხელისუფლებასთან და დანაშაულის პატიებაც მიიღო, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ არ მოისურვა გაბრიყვებულ ხალხზე შურის ძიება. მან პატიების ხელი გაუწოდა თავის შეუგნებელ მტრებს და მისცა მათ საშუალება ქვეყნის სასარგებლო მოქალაქეებად დაბრუნებისა.

„მუშათა კომისია“ მიდის ციხეებში, აადაც ათასობით გამოჰყავს ქართველი მოქალაქენი. იგივე კომისია, საქართველოში მოგზაურობის დროს, ეცნობა მოსახლეობის ჭირ - ვარამს რასაც აუწყებს ხელისუფლებას და უკანასკნელიც მას ანგარიშს უწევს... აქა - იქ ირკვევა, რომ მთავრობის ზოგიერთი ადგილობრივი წარმომადგენლები ვერ იდგენ სათანადო სიმაღლეზე, ვერ იყვენ ხალხთან ისეთ დამოკიდებულებაში, როგორც ამას მათ ავალებს უმაღლესი ხელისუფლება — კომუნისტური ხელისუფლება, ხელისუფლება ანგარიშს უწევს „მუშათა კომისიის“ მოხსენებას და თავის უვარგის მოხელეს სცვლის საუკეთესო მოხელით.

„მუშათა კომისია“ არ კმაყოფილდება მარტო აქ, საქართველოში მოღვაწეობით, ის მიდის რუსეთში და სხვაგან, ნახულობს გადასახლებულ ამხანაგებს, აძლევს მათ სრულსა და უტყუარ ინფორმაციას საბჭოთა საქართველოს შესახებ.

ამ მოგზაურობას შედეგად ის მოყვა, რომ არა ერთი გადასახლებული ამხანაგი დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და დაუბრუნდა თავის სამშობლო კერას, სადაც დღეს ენერგიულად არიან ჩაბმული თავისი საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

ასეთია „მუშათა კომისიის“ მოღვაწეობა.

**ალ. ხელაძე.**

# მუშათა პარტიის ლიბერალიზმი

„როცა საკავშირო პროფსაბჭო თავის მოწოდებაში სასტიკად ამათრახებდა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს, ბევრი ინგლისელი ამხანაგი ფიქრობდა, რომ ჩვენ ერთობ სასტიკად ვაკრიტიკებთ გენსაბჭოს და უკმაყოფილონი იყვენ საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდებით.. ეხლა პარტიაში ადგილი აქვს ერთგვარ შიშს: სწორია თუ არა ეს ტაქტიკა (ლაპარაკია საარჩევნო ტაქტიკაზე), ძალიან მარცხნივ ხომ არ „ვხრით“ პოლიტიკას და სხვა... მერყეობამ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს დაკავშირებული იყო პარტიის ყველა მტრების არაჩვეულებრივ შემოტევასთან და ერთგვარ პსიქოლოგიურ დეპრესიასთან მუშათა კლასის წრეებში, თავი იჩინა პარტიის ამას წინად შემდგარ ყრილობაზე“.

ეს სიტყვები წარმოთქმულ იქნა ამხ. ბუხარინის მიერ თავის მოხსენების დროს საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობაზე. არ იქნება ინტერეს მოკლებული ამ დახასიათებასთან დაკავშირებით განვიხილოთ ის ატმოსფერა, რომელიც შექმნილია ამჟამად ინგლისის მუშათა მოძრაობაში.

იმპერიალისტური ომის შემდეგ მუშათა პარტია აუცილებლათ ძლიერი ფაქტორი გახდა. რამდენათ იმის გავლენის ქვეშ პროფესიონალური კავშირები იმყოფებოდა, ანდა უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, რამდენათ პროფესიონალური კავშირების ეკონომიური პოლიტიკა მუშათა პარტიის იდეურ ზეგავლენას განიცდიდა, იმდენათ პირველი მეორეს ძლიერი ბერკეტი იყო, რაც ექვს გარეშეა მთავარი ფაქტორათ უნდა ჩაითვალოს პარტიის სიძლიერისათვის. სამაგიეროთ შეიქნა ერთგვარი ურთიერთ გავლენის წრე, რისგანაც გამოსვლა, ანუ მასში ერთგვარი გადახალისების შეტანა იმ მხრივ, რომ ამ გზით მუშათა მოძრაობა რადიკალურ ნიადაგზე შემდგარიყო მეტის მეტათ რთული პრობლემა აღმოჩნდა.

უკვე უდავო ფაქტია ის, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობაში ომის შემდეგ რადიკალური სულისკვეთება შეიქნა. ამ მოვლენის სულის ჩამდგმელი იყო პირველად დამოუკიდებელი მუშათა პარტია და უმთავრესად კი მისი მემარცხენე ნაწილი. ინგლისის საერთო ეკონომიური მდგომაერობა, და კერძოთ ცალ-ცალკე სამრეწველო დარგებში შექმნილი კრიზისი (აქ მხედველობაში გვაქვს სამთანადნო, ტექსტილური და ლითონის წარმოებები), ხელს უწყობდა გარკვეულ ოპოზიციონურ მიდრეკილებას, რაც ავტომატიურათ პოლიტიკაზე შესაფერ გავლენას ახდენდა. ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ მუშათა პარტიასაც ოდნავ გამოცოცხლება და მემარცხენე ფრთის გაძლიერება დაეტყო, რის უშუალო პრაქტიკული შედეგი 1924 წლის არჩევნები და პირველი მუშათა პარტიის მთავრობა იყო. მალე ეს მთავრობა სტანლეი ბალდვინის რეჟიმმა შესცვალა. მუშათა კლასის იმედები გაქარწყლდა. იმედით სავსე 1924 წელმა მუშათა კლასს კონსერვატიული მთავრობა უანდერძა. ამ უკანასკნელმა კი, როგორც მსხვილი კაპიტალის და ლენდლორდების პირმშო შვილმა, პირველი ისარი მუშათა კლასს დაუმიზნა, რაც რასაკვირველია უპასუ-

ხოთ არ დარჩენილა და ამ დაპირდაპირების უშუალო შედეგათ მემალაროელთა ნახევარი წლის ბრძოლა გახდა.

მემალაროელთა გაფიცვა უძლიერესი გამოხატულება იყო რადიკალური სულისკვეთების. ხელმძღვანელობის ხეირიანად წარმატებით და შექმნილ პირობებისა და სულისკვეთების ალლოს სწორი აღებით, მოსალოდნელი იყო უდიდესი მიღწევები, მაგრამ სწორეთ აქ აღმოჩნდა მუშათა პარტიის უილაჯობა, რაც კაპიტალის ორგანიზაციულმა შემოტევამ ადვილათ გასტეხა და გაფიცვაც დაამარცხა. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა თითქოს ინგლისის შავი ქვის წარმოების მდგომარეობას და სხვა მომენტებს გაფიცვის დამარცხებაზე თავისი გავლენა არ მოეხდინოს. პირიქით აღვნიშნავთ არა ამას. განსაკუთრებით ხაზს უსვამთ ხელმძღვანელობის უილაჯობას. ვინაიდან მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აშკარად ჰყო ის უარყოფითი ფაქტი, რომელიც ყოველთვის შედეგათ ყვება ბრძოლის დროის დამარცხებას. ეს ფაქტია დეპრესია, ფსიქოლოგიური დეპრესია, რომელზედაც ამხ. ბუხარინი ლაპარაკობდა.

გამარჯვებულმა კაპიტალმა შექმნილ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები გააკეთა, რაც პირველად ყოვლისა ეგრეთ წოდებულ ტრედუნიონის აქტის პარლამენტის მიერ მიღებაში გამოიხატა. მთავრობის და მწარმოებელთა გაძლიერებულმა შეტევამ, აგრეთვე ბრძოლის დროის გადატანილმა გაჭირვებამ მუშათა კლასში შექმნა არა ახალი ბრძოლის ჟინით აღტყინება, არამედ, პირიქით, ყოფილი მემარცხენე სულისკვეთება თანდათანობით შენელდა და გამოწვეულ დეპრესიამ ხელი შეუწყო მემარჯვენე ფრთის გაძლიერებას. ეს მოვლენა თვით მემალაროელთა შორისაც გაძლიერდა. ფედერაციის უკანასკნელ ყრილობაზე თავმჯდომარემ,—ჰერბერტ სმის-მა გარკვევით განაცხადა, რომ უახლოესი დროისათვის ჩვენ აზრადაც არ მოგვივა გაფიცვის პოლიტიკურ იარაღათ გამოყენებაო. აქედან უკვე აშკარავდება ის სპეციფიური ხასიათი, რომელიც ინგლისის ტრედუნიონებმა ისევ აღადგინეს, სახელდობრ ისევ აპოლიტიკური სახის მიღება. იმის თქმა ძნელია, რომ ტრედუნიონიზმს, როგორც ასეთს, უკვე გარკვეული პოლიტიკური ელფერი ჰქონდა მიღებული, მაგრამ უკანასკნელი წლების განვითარება იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ასეთი ტენდენცია დაწყებული და მოსალოდნელი იყო მისი გაღრმავება. აღნიშნულმა მდგომარეობამ კი ამ ტენდენციის შემდეგი განვითარება ჯერ-ჯერობით შეაჩერა.

ეს გარემოება მუშათა პარტიამ გამოიყენა. თუ ის რადიკალურ გზაზე შემდგარ მუშათა მოძრაობას ვერ ხელმძღვანელობდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არამც თუ ეხმარებოდა, არამედ ხელს უშლიდა,—მემარჯვენე ტენდენციების შექმნასთან ერთად პარტიის რევოლიუციონური ფრაზეოლოგია ერთბაშათ გაქრა საპნის ბუშტივით და მის ადგილზე მეშჩანურ-ლიბერალური პოლიტიკა წარმოიშვა, რომელიც შექმნილ დეპრესიულ ფსიქოლოგიას ჩინებულათ შეუფარდდა. რამზეი მაკდონალდი ისევ წელში გაიმართა და ყველა მეტოქე პირები ერთბაშათ ჩამოიცილა. უმთავრესი, ასე ვსთქვათ, რევოლიუციონური მოთხოვნილება,—სამთომადნო წარმოების ნაციონალიზაცია პროგრამაში თეორიულად დარჩა, მაგრამ ის პრაქტიკულ პოლიტიკიდან ფაქტიურად ამოიშალა და ადგილი დაუთმო ე. წოდებულ მიმდინარე საპროგრამო პუნქტებს, რომელიც იმავე ხასიათისა და შინაარსის არის, როგორც ჰერბერტ სამუელის წინადადებები.

აქედან აშკარაა თუ რა ახასიათებს ინგლისის თანამედროვე მუშათა მოძრაობას. ერთის მხრივ ცხარე შემოტევა მთავრობისა და კაპიტალისტების, ხოლო მეორე მხრით კი სულიერი დეპრესია მუშათა კლასში და ამაზედ აღმოცენებული გაძლიერება მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთისა. როგორც ერთი, კაპიტალიზმი, ისე მეორე, მეშჩანურ-ლიბერალიზმის გზაზე შემდგარი მუშათა პარტია,—რადიკალურ სოციალისტური პოლიტიკის სასტიკი მტრებია. მეორე ისევე ებრძვის კომუნიზმს, როგორც პირველი. ორთავეს ყურადღება ამ ძალის წინააღმდეგ არის მიმართული, რამაც ბუნებრივათ შექმნა „ის შიში და მერყეობა“, რომელზედაც ამხ. ბუხარინი მოუთხრობდა ყრილობას.

ი. ნარსია.

# რა სურს ემიგრაციას

## XI

### დასკვნა

ჩვენ შევეხეთ თითქმის ყველა საკითხებს, რომლებსაც უტრიალებს ემიგრაცია და მის არგუმენტაციაში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი დებულება, რომელიც გამოსადეგი იყოს რეალურ საქართველოსათვის, რასაც ის სწერს და აკეთებს, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეს არ ეკარება, მას მხედველობიდან ეპარება საბჭოთა წესწყობილების დადებითი მხარეები და ჯანსაღი ტენდენციები, ის ებღაუჭება აკვიატებულ, დრო მოჭმულ დებულებებს, მათ თავში ჩარჩა 1921 წლის 24 თებერვალი, როცა ის ქუდ მოგლეჯილი თბილისიდან გარბოდა, როცა მრავალმა მოქალაქემ ბოლშევიკებთან დარჩენას ზღვაში გადავარდნა არჩია. ავიწყდება ემიგრაციას, რომ ეს მოქალაქე ზღვაში მართლა კი არ გადავარდა არამედ შინ დაბრუნდა, ბევრი იკრუსუნა, იწუწუნა და ბოლოს ხელები წაიკაპიწა და თავის სამშობლოს საალმშენებლო მუშაობაში ჩაება.

მაშ, გაუკეთოთ მოკლე ჯამი ჩვენს ნათქვამს, რა სურს ემიგრაციას? რას ურჩევს ის ქართველ ერს, ქართველ მუშასა და გლეხს?

1) „ქართველმა ერმა უნდა აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა“ („ბრძოლა“ № 7), მან უნდა გამოიჩინოს რაც შეიძლება „მეტი შეურიგებლობა“ („დამოუკ. საქ.“ № 13). ემიგრაციის ლოზუნგია: „ერის ბრძოლა და გარეშე ძალის დახმარება. აქედან ქართველების შერჩენა ანტი-საბჭოთა პოზიციაზე“ (ნ. ჟორდანია „რა მოხდა“, გვ. 23).

ემიგრაცია იბრძოლებს მანამდე, ვიდრე საქართველოში დარჩენილა „უკანასკნელი მებრძოლი“ („დამოუკიდ. საქართველო“ № 1).

რისთვის არის საჭირო ეს შეურიგებლობა?

ემიგრაციას ამით სურს მოახდინოს შთაბეჭდილება ევროპაში. ის ასე ფიქრობს: ხალხი რომ ბოლშევიკებს შეურიგდეს მაშინ ევროპა შეასუსტებს თავის მტრობასა და აქტივობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ჩვენც მშრალზე დავრჩებითო. ბოლშევიკებს არ აკლიათ ევროპის ბურჟუაზიის სიძულვილი, ასე რომ საქართველოს შეურიგებლობა მაინც და მაინც ამ სიძულვილს საგრძნობ დოზას ვერ მოუმატებს ასეთ ხაზში თვით ანტი-საბჭოთა პოლიტიკის თვალსაზრისით, ჩემის აზრით: არ არის მაინც და მაინც დიდი ლოლიკა. საბჭოთა კავშირის 150 მილიონი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებას რომ შეურიგდეს, ან კიდევ მეტი იგი გაკომუნისტდეს— ეს უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ევროპის ბურჟუაზიისათვის, მაშინ მან მართლაც იარაღით უნდა მოუღოს ბოლო ასეთ „საშინელებას“, ასე რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგება — დაახლოვება უფრო საშიშია ევროპის ბურჟუაზიისათვის და მის აქტივობასაც ეს უფრო გააძლიერებს, ვიდრე შიგნით ბრძოლა.

ახლა ვიკითხოთ, რაში უნდა გამოიხატოს ეს შეურიგებლობა რეალურად? — ალბათ საბოტაჟში. შეუძლია და სურს კი ეს ჩვენი ერის რომელსამე ნაწილს? რა თქმა უნდა არა. საბოტაჟის მსურველი არამც თუ რომელიმე ჯგუფი, ცალკე პირებიც ძნელი მოსანახია დღევანდელ საქართველოში.

მაშ, რაში უნდა გამოიტახოს ეს შეურიგებლობა?

ცხადია, აჯანყებაში, ყოვლემხრივ ხელის შეშლაში. ომის ყოველი გართულებისა და ფეხის წაბორძიკების გამოყენებაში; ეს კი გახლავთ ქართველი ერისათვის საბედისწერო გზა.

ემიგრაცია ურჩევს საქართველოს აჯანყებას. ეს აჯანყება ორნაირია. ერთი დამოუკიდებელი, როცა აჯანყებას ახდენს საქართველო მარტო, ან მეზობლებთან ერთად. ასეთ აჯანყებას აქვს სააგიტაციო მნიშვნელობა. ასე იყო მაგ. 1924 წელს. ემიგრაციამ იცის, რომ ასეთი აჯანყება ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ის მაინც საჭიროდ მიაჩნია მას, რათა ალაპარაკდეს ევროპის პრესა, ერთა ლიგა, მეორე ინტერნაციონალი და სხვა.

ვისი გზაა ეს გზა?

ეს არის დაშნაკელების ძველი ნაცნობი გზა, რომელსაც ოდესღაც მედგრად ებრძოდა ქართველი სოციალ-დემოკრატია. დღეს როლები შეიცვალა, დაშნაკელები დაჭკვიანდენ, მარა მოხდა მენშევიკების „დაშნაკიზაცია“ და ისინიც ქართველი ერისაგან „დიდ მსხვერპლს მოითხოვენ“ („დამოუკიდ. საქ.“ № 17). ეს ტაქტიკა აკურთხა ნ. ჟორდანიამ შემდეგი სიტყვებით: **„აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ იყო, არის და იქნება ერთად ერთი მცნება რევოლიუციონერებისაო“.** („ბრძოლის საკითხები“ გვ. 17).

ემიგრაციას სწამს კიდევ მეორე ნაირი აჯანყება, საერთაშორისო გართულებასთან, ომთან შეფარდებული. ნ. ჟორდანია თავის წიგნაკში „რა მოხდა“ სწერს: „საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო კრიზისი თანდათან ახლოვდება და ჩვენ გვიმზადებს ერთგულ მოკავშირეს. ეს იქნება ბრძოლა [illegible]ლი სიცოცხლისა და თავისუფლების მომნიჭებელი“ („რა მოხდა“ გვ. 38).

ემიგრაციის პერსპექტივაში ომი უდიდეს როლს თამაშობს. ემიგრაცია იმავე დროს ირწმუნება: ევროპა ომზე არ ფიქრობს, ის „ახალი იმპერიალიზმია“, რომელიც ანგარიშს უწევს ეროვნულ და საერთაშორისო დემოკრატიას, ხოლო თვით დამორჩილებულ ერებს აძლევს განვითარების შესაძლებლობასო“. (ბრძოლა № 6).

თურმე ნუ იტყვით, ევროპის იმპერიალისტები უმანკო კრავები არიან, მათ ომი როდი უნდათ, მაგრამ ქვეყანას მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა კავშირი. თურმე „საყოველთაო მშვიდობიანობას განსაცდელი უპირველეს ყოვლისა რუსეთიდან მოელის“ („ბრძოლა“, № 6).

თუ რამდენად დაეცა მენშევიზმი, მოწმობს ნ. ჟორდანიას შემდეგი სიტყვები, რომლებითაც ის ახასიათებს ან უკეთ აბეზღებს იმპერიალისტების წინაშე საბჭოთა კავშირს. თურმე ნუ იტყვით, „ომი კომუნისტებისაგან უფრო მოსალოდნელია, ვიდრე კაპიტალისტებიდან“. „ერთი სიტყვით კაპიტალისტური ომის საფრთხე კლებულობს, ბოლშევიკური კი მატულობს, აი ინტერნაციონალის დებულება და ეს სავსებით ეთანხმება ფაქტებსო“ და შემდეგ მოგვითხრობს ასეთ მარგალიტებს:

„მოსკოვის მთელი საგარეო პოლიტიკა აშენებულია ნაციათა ლიგის დაშლაზე, აღმოსავლეთ ერების დასავლეთის წინააღმდეგ დაპირდაპირებაზე, მათ შორის შუღლის და კონფლიქტების გაღრმავებაზე. ევროპის მიერ უარყოფილი საიდუმლო დიპლომატია კრემლის სახარეზად გადაიქცა, სადაც ჩუმათ ითხზება საერთაშორიო კონსპირაცია. ერთი ერის მეორეზე წასისიანება, ახლო და შორეულ აზიაში ომის კერათა გაღვივება, მოსაზღვრე ლიმიტროფების დამორჩილების დაჯაბნების გეგმა, ჩამორჩენილი ხალხების თავის საგარეო ძლიერების იარაღად გამოყენება; მოსკოვი ერევა პირდაპირ თუ არა პირდაპირ ფულით და კაცით ყველა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში; ყავს უცხოელთა მთელი ჯგუფები და ორგანიზაციები თავის სამსახურში, აშკარად არიგებს ფულს ხალხის მოსასყიდათ, აწყობს შეთქმულებებს, სადაც კი ეს შეიძლება, აღელვებს არა ევროპიელ ხალხთ ევროპიელთა წინააღმდეგ, აძლიერებს რასიულ სიძულვილეს, რაზმავს ყველას, ყველას წინააღმდეგ. ომის მთავარი საფრთხე დღეს მოსკოვში ძევსო“ („ბრძოლა“ № 19-20, ნ. ჟორდანიას წერილი „ახალი პროგრამა“!

როგორც ვხედავთ აქ მიყვანილი სიტყვა არის საზიზღარი ცილის წამება და აშკარა აგენტობა იმპერიალიზმის სასარგებლოდ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რად მოდის ნ. ჟორდანიას ასეთი შეუწყნარებელი შეცდომა? ეს შეცდომა მას მოდის იმატომ, რომ ის გამოდის შემცდარ დებულებიდან. მისთვის და მის ამხანაგებისათვის არ არსებობს არავითარი განსხვავება თვითმპყრობელობა - ტირანიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. ის ამას აშკარად აღიარებს და პირდაპირ აყენებს ასეთ დებულებას: **„სოციალიზმს მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვიდრე ბოლშევიზმთანო“** (იხ. „ბრძოლა“ № 1).

ეს რომ მართალი არ არის, სხვათაშორის მოწმობენ ევროპის გამოჩენილი სოციალ - დემოკრატები. აი რას ამბობს მაგ. ოტო ბაუერი: „კომუნისტები არიან უეჭველად განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის ერთ ნაწილზე დაყრდნობილი, უეჭველად რევოლიუციონური და უეჭველად სოციალისტური პარტია. რა დიდიც არ უნდა იყოს განსხვავება მათსა და ჩვენს სოციალიზმს შორის, მაინც ისიც და ესეც სოციალიზმია და ამ სოციალიზმის ერთობისაგან გამომდინარეობს ჩვენ შორის არსებულ ყოველივე წინააღმდეგობათა მიუხედავად ინტერესთა შედარებითი ერთობაო“.

ამ დებულებებს ღებულობს სავსებით კაუცკიც, ის მხოლოდ უმატებს ორ სიტყვას „რუსეთის გარეშე“ (იხ. „ბრძოლა“ № 7).

ამნაირად, კაუცკი აღიარებს, რომ „რუსეთის გარეშე“, ე. ი. ევროპაში, აზიაში, ამერიკაში და სხვ. კომუნისტები არიან „უეჭველად სოციალისტური და უეჭველად რევოლიუციონური პარტია“, ხოლო ოტო ბაუერი აღიარებს კომუნისტების „უეჭველად სოციალისტობასა და უეჭველად რევოლიუციონერობას“, როგორც რუსეთში ისე ყველგან, რაც რა თქმა უნდა, სავსებით მართალი დებულებაა.

ასეთია ევროპის სოციალ - დემოკრატიის ორი უდიდესი წარმომადგენლის აზრი ბოლშევიკებზე. ამის შემდეგ შეუძლებელია საკითხის ჟორდანიასებურ გამარტივება და მტკიცება, თითქოს ბოლშევიზმსა და მონარქიას შორის არავითარი განსხვავება არ იყოს:

ეს არის ტყუილი, ბრაზმორეული და წონასწორობა დაკარგული ადამიანის მიერ მოგონილი და ერისათვის დამღუპველი.

ლეო შენგელაია.

# ძველი ოცნების უკანასკნელი ნამსხვრევები

საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების და „დემოკრატიული“ მთავრობის რესტავრაციის ერთ მთავარ პერსპექტივად, როგორც ვიცით, ქართველი ემიგრაციის მიერ გამოცხადებულია საბჭოთა კავშირის საგარეო სამხედრო გართულების ხაზი — ომი კაპიტალისტურ ევროპასთან.

ეს პერსპექტივა, არ არის ახალი, თავიდანვე დაყვა საქართველოს გასაბჭოებას და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას. უთუოდ ბევრს ახსოვს, რომ 1921 წ., შეურაცყოფილი ელემენტები, ბიბლიის წიგნებშიც კი ეძებდენ და „ნახულობდენ“ საბჭოთა ხელისუფლების სხვისი ხელით დამარცხების გამამართლებელ წინასწარმეტყველებას, რომ თითქოს 1921 წ. იქნებოდა „წითლების ბატონობის დასასრული“, რომ ამ წელში მოელოდა მას დამარცხება „მშვიდობიანობის დამრღვევ თეთრების გაერთიანებული ძალების მიერ“.

ეს მოჭორილი ამბავი ერთხანს საგიტაციო მასალას წარმოადგენდა ზოგიერთებისათვის, ხოლო შემდეგ ასეთი

პოპულიარული შეიქმნა, რომ მართლაც კი სჯეროდათ იგი გულუბრყვილო, მორწმუნე სუბიექტებს და იმედით უცდიდენ მის განხორციელებას.

მაგრამ 1921 წ. ეს პერსპექტივი არ იყო მართალი, ამაზე არ შენდებოდა პარტიის პოლიტიკა და ტაქტიკა. მაშინ უფრო რეალურ საშუალებათ იყო წამოყენებული საქართველოს სეპერატიულად „განთავისუფლების“ იდეა, აშენებული „დემოკრატიული“ მთავრობის იურიდიულ უფლებებზე ან იმედზე, რომ „ევროპა“, ევროპის ოფიციალური და სოციალისტური წრეები, აქტიურად ჩაებმებოდენ „საქართველოს საკითხში, და გამოვიდოდენ მისი რეალურად დამცველის როლში. ამით იყო ნაკარნახევარი, რომ გასაბჭოების პირველ წლებში მენშევიზმი დიდ ხმარებაში იყო, მეტს შფოთავდა ევროპისათვის საჭირო საბაბის მისაცემად.

1924 წ. აგვისტოს გამოსვლებმა სამუდამოდ წაართვა ნიადაგი ამ პოლიტკურ რომანტიზმს, საქართველოში აღარავინ არის უკვე ისეთი პოლიტიკური ბრიყვი და რეგვენი, რომ დაიჯეროს და წარმოიდგინოს საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელისუფლების საქართველოს მასშტაბით სეპარატიულად დამარცხება.

ამიტომ აუცილებელი შეიქმნა არალეგალური მუშაობის პოლიტიკური ცენტრისათვის — პარიზის ბიუროსათვის, სეპარატიული „განთვისუფლების“ იდეის მოხსნა და მის ადგილზე ისეთი პერსპექტივების წამოყენება, რომლითაც კიდევ მოხერხდებოდა ვინმეს შეცდომაში შეყვანა, შეიძლებოდა მისთვის რაიმე დასაყრდენის მოძებნა და განხორციელების შანსების გამონახვა. ამ მხრივ, უკანასკნელ წელში შექმნილი გართულებული მდგომარეობის გამო, როგორც ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის, ისე თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორისაც, უსათუოდ ხელსაყრელი იყო საგარეო გართულების „პერსპექტივის“ პირველ რიგში წამოყენება, რადგან იგი ამჟამად დიდ მასალას იძლევა პოლიტიკური სპეკულიაციის გასაწევად.

შემორჩენილი ანტი-საბჭოთა ელემენტები, როგორც სჩანს პოლიტიკური კამპანიების ჩატარების დროს მოცემულ შეკითხვებიდან, უკვე შესდგომიან სპეკულიაციას. ცდილობენ მოსალოდნელი ომის საკითხის ისეთ ფორმებში წამოყენებას, რომ პანიკა შექმნან ხალხში და პოპულიარული გახადონ საბჭოთა ხელისუფლების „დამარცხების“ პერსპექტივა.

ამ თემაზე ისე ბევრი დაიწერა და ითქვა, რომ არც ისე ძნელი იყო გარკვევა იმაში, თუ რამდენად ყალბი და რეაქციონურია ქართველი ემიგრაციის ეს უკანასკნელი „პერსპექტივა“, ხოლო რადგანაც ზოგიერთებისათვის კიდევ არ ყოფილა ეს გარკვეული და შეკითხვებს გვიგზავნიან ადგილებიდან, საჭიროდ ვთვლით მოკლე პასუხი მაინც გავცეთ ამ დიდ თემაზე.

შეკითხვა პირველი: არის თუ არა მოსალოდნელი ომი, როდის დაიწყება, ან რა უშლის ხელს, რომ დღემდე არ დაწყებულა იგი?

შეკითხვა მეტი რომ არა ვთქვათ კურიოზულია, მაგრამ მაინც გავცეთ პასუხი.

ამ საკითხზე პასუხის მისაღებად საჭიროა ვიცოდეთ: საერთოდ შესაძლებელია თუ არა მომავალი ომის წინდაწინ გათვალისწინება?

რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით ეს შესაძლებელია, რადგან ომი არის ბურჟუაზიული პოლიტიკის გაგრძელება, კაპიტალისტური სისტემით ნაკარნახევი იმპერიალისტური პოლიტიკის ერთი ფორმათაგანი. თუ ეს ასეა და ჩვენთვის მისაწვდომია შესწავლა და გარჩევა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებით წარმოშობილი ნაციონალურ-ბურჟუაზიის იმპერიალისტური გეგმების, ამაზე აშენებული აგრესიული პოლიტიკის და სამხარი მზადების, თუ ჩვენთვის მისაწვდომია აგრეთვე ახსნა და შეფასება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული ანტაგონიზმის წარმოშობის მიზეზებიც, —არ არის ძნელი ამ წინააღმდეგობათა განვითარებით წარმოშობილი კონფლიქტების კატასტროფიული დასრულება, მოსალოდნელი ომის გათვალისწინება. გათვალისწინების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს შეიძლებოდეს ომის დაწყების კალენდარულად აღნიშვნა. ამის თქმა არ შეუძლია არა თუ ომის კომბინაციის გარეშე მყოფ ძალას, მესამე პირს, არამედ ომის ინიციატორებსაც რადგან ომის დაწყება არ არის დამოკიდებული მარტო მისი ავტორების სურვილისაგან; მას განსაზღვრავს მთელი რიგი ისეთი ფაქტორების, რომლებიც ხშირად იცვლებიან გარეშე მიზეზებით...

მაგალითად, მსოფლიო ომის დაწყების აუცილებლობას დიდი ხნით ადრე და დანამდვილებით აღნიშნავდენ სოციალისტურ კონგრესებზე, მაგრამ არავის შეეძლო იმის თქმა, რომ ის დაიწყებოდა უსათუოდ 1914 წ. აგვისტოში, რომ 4 აგვისტოს შეიქმნებოდა ყოველმხრივ მომზადებული და ხელსაყრელი შემთხვევა და საბაბი დიდი ხნით ადრე მოფიქრებული და მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

ამგვარად, მოსალოდნელი ომის გათვალისწინება შესაძლებელია, მაგრამ სანამ კაპიტალისტური სისტემა არის ეკონომიურად გაბატონებული ფაქტორი და ბურჟუაზიის ხელშია პოლიტიკური ძალაუფლება, არ შეიძლება იმპერიალისტური ომების აცილება, როგორც ერთად-ერთი რეალური საშუალების გავლენის სფეროების განაწილების საკითხის გადასაწყვეტად. თვითეული ასეთი იმპერიალისტური ომი, რომლის შედეგად იქმნება ახალი კონფლიქტები, ძალთა ახალი გადაჯგუფება, თავისთავად, ხდება მიზეზი და საბაბი მორიგი ახალი ომის დასაწყებად და ეს ასე გაგრძელდება, ვიდრე ომის მიზეზი,—კაპიტალისტური სისტემა არ იქნება შეცვლილი, ვიდრე არ განთავისუფლდება კაცობრიობა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობისაგან. ამჟამადაც, რაც აშკარად ეწყობა სამხედრო კოალიციები, იმდენად დასრულებულია მათი სომარი მზადება და გართულებულია წინააღმდეგობა მათ შორის, რომ ძლიერ მოახლოვებულია ომის საფრთხე და თუ ის ვერ დაწყებულა დღემდე, ამის უმთავრესი მიზეზია საბჭოთა კავშირი და მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება, რევოლიუციის გამოწვევის შიში.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ არა მარტო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მოსალოდნელი ომის დაწყების საფრთხე, არამედ ომი სხვა ხასიათის,— რეაქციისა და რევოლიუციის შორის, საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რაზედაც აშენებენ რესტავრაციის იმედებს, ოქტომბრის რევოლიუციის მიერ დამარცხებული პოლიტიკური ჯგუფები და შეურაცყოფილი სუბიექტები.

კაპიტალისტური ევროპა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არა ოფიციალურად, უკვე დიდი ხანია აწარმოებს ომს, რაც სხვადასხვა პირობებში ღებულობს თავისებურ ხასიათს, ხდება განსაკუთრებული მეთოდით. თუ 1921 წლამდე საფრანგეთ-ინგლისის რეაქცია აშკარა ინტერვენციის გზით მიდიოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამარცხებლად, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ფიზიკურადაც კი განადგურდენ რუსეთის რეაქციონური ძალები და გამოეცალათ ბაზა ახალი ინტერვენციის მოსაწყობად, არ შეიძლებოდა ძველი მეთოდის დატოვება, აუცილებელი იყო მისი შეცვლა. სამხედრო ფრონტზე დამარცხებული ევროპის რეაქცია, რაც ლოიდ-ჯორჯმა ვერ დამალა და ახსნა რევოლიუციონური ჯარის ძლევამოსილებით, გადავიდა ეკონომიური ბრძოლის ფრონტზე, შეეცადა საბჭოთა კავშირის ეკონომიურად დამორჩილებას, ეკონომიური კოლონიად გადაქცევას და ამ გზით, თანდათანობით, მისი პოლიტიკურადაც გარდაქმნას, მაგრამ აქაც დამარცხდა. საბჭოთა კავშირი აქაც გამოვიდა გამარჯვებული. ის უკვე იმდენად გიზარდა ეკონომიურად, და წინ გაუსწრო თავის სოციალისტური წარმოებით კაპიტალისტურ „სტაბილიზაციას“, რომ მათ აღარ შეუძლიათ იქონიონ იმედი საბჭოთა ხელისუფლების ამ ფრონტით დამარცხების

რის შემდეგ კაპიტალისტური ევროპის რეაქცია, ხელახლა უბრუნდება ბრძოლის ძველ გზას, შეიარაღებული ინტერვენციის იდეას. ამ ბრძოლის ინიციატორად გამოდის ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. ია არის ანტისაბჭოთა ფრონტის მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

მესამე წელია, რაც ჩემბერლენი დაუღალავად მუშაობს ამ საქმეზე, მაგრამ ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ კაპიტალისტების გაერთიანებული ფრონტის შექმნა. იმ აქტიურმა ნაბიჯებმა, რომლებიც იქნა გადადგმული საბჭოთა საელჩოზე თავდასხმების სახით პეკინში, ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში და ლონდონში, რისი მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო კონფლიქტებში ჩარევა და ვასალურ სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენა საბჭოთა კავშირთან დაახლოვების ტენდენციის შესაჩერებლად, არავითარი სარგებლობა არ მოიტანა, გარდა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისა, რითაც დაზარალდა ინგლისის ბურჟუაზია.

ჩემბერლენმა არა თუ ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირის იზოლიაცია, არამედ თვით მოექცა იზოლიაციაში და შუბლმაგართა ეხლანდელი ცდა იქეთაა მიმართული, რომ როგორმე გამოასწორონ ჩადენილი შეცდომა, აღადგინონ სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა. ამის გარშემო დღეს ოფიციალურად ლაპარაკობს კონსერვატორების პრესა, ამასვე ადასტურებს ჩემბერლენის ინიციატივით მოწყობილი მისი შეხვედრა ლიტვინოვთან.,

საერთაშორისო რეაქციის ამ სისტემატიურ დამარცხებებს საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში, გაერთიანებული ფრონტის შექმნის სიძნელეს, და აშკარა ომის დაწყებაზე უარის თქმას იწვევს შემდეგი მიზეზები:

1) იმდენად დიდია წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, გავლენის სფეროების განაწილების საკითხში, იმდენად დიდი უნდობლობაა ერთმანეთისადმი და შეურიგებელია მათი მილიტარისტული ინტერესები, რომ არ შეუძლიათ გაერთიანებული ფრონტის შექმნა.

გერმანია, რომელმაც აუცილებლათ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ბლოკში, არ წავა ასეთ კომბინაციაზე, სანამ არ იქნება გადასინჯული ვერსალის საზავო ხელშეკრულება, სანამ არ გადაწყდება საკითხი მისი დასავლეთის და აღმოსავლეთის საზღვრების შეცვლის შესახებ. გერმანიის იმპერიალისტებს, როდესაც მათ ჩამორთმეული აქვს ელზას-ლოთრენი, ოკუპაცია ქმნილია საარის და რეინის ოლქები, ჩამორთმეული აქვს ზემო სილეზია, გაჩეხილმა პრუსია დანციგის კორიდორით, ჩამორთმეული აქვს ყველა კოლონიები და სხვისი კონტროლის ქვეშ არის დაყენებული მისი მრეწველობა და ეკონომიური ცხოვრება. რა თქმა უნდა, არ შეუძლია საფრანგეთთან და პოლონეთთან შევიდეს ბლოკში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როდესაც უკანასკნელი მეგობრულ ურთიერთობაშია მასთან და ერთად-ერთი ბაზარია მისი მრეწველობის პროდუქციის გასასაღებლად. ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე და საზღვრების შეცვლაზე საფრანგეთ-პოლონეთის იმპერიალისტები არ წავლენ, ისინი არა თუ დაითმობენ დაპყრობილ ტერიტორიებს, არამედ ახალ ომებს იწყებენ ტერიტორიების დასაპყრობად.

ასეთივე წინააღმდეგობაა იტალია-საფრანგეთს შორის, ბალკანეთის ხმელთა-შუა ზღვის კუნძულების და კოლონიების საკითხში, რომლებიც აშკარა სამხედრო კავშირებს ქმნიან ბალკანეთში. ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. არა ნაკლები წინააღმდეგობაა ინგლის-საფრანგეთს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიის დასაპყრობად. ევროპის სახელმწიფოების თავისი გავლენის ქვეშ დასაყენებლად. კიდევ უფრო გართულებული მდგომარეობაა ევროპის სახელმწიფოებსა და იაპონია-ამერიკის შორის. საერთოდ, არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო არ არის კუთილმეზობლურ დამოკიდებულებაში მეორესთან, მათ შორის ყველგან და ყოველთვის კონფლიქტია. ამას გარდა, შორეულ და ახლო აღმოსავლეთში დაწყებული ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელის ხელმძღვანელად ინგლისის კონსერვატორებს გამოყავთ საბჭოთა ხელისუფლება და რაც ემუქრება მათ კოლონიალურ ბატონობას, არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ აწუხებს ისე, როგორც ინგლისის შუბლმაგართ და ამიტომ არც შედის მათ ინტერესებში ამ ნიადაგზე საბჭოთა კავშირთან გართულების შექმნა, ომის დაწყება.

2) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის გამარჯვებას დღეს უფრო ნაკლები შანსები აქვს, ვიდრე 1918—21 წლებში, როდესაც მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა გაცილებით სუსტი იყო. თუ მაშინ ვერ მოახერხეს მათ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, დღეს, როდესაც ასე გაიზარდა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში, როდესაც ასე განმტკიცდა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ასე გაძლიერდა ისე ეკონომიურად, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი რისკია ამ საშიფათო ნაბიჯის გადადგმა.

არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ აქვს დღეს ისეთი მტკიცე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომ საგარეო გართულების დროს უზრუნველყოფილი იყოს რევოლიუციისაგან. ასეთ პირობებში, თავის-თავად ცხადია, დიდი სიბეცე იქნებოდა ომის დაწყება საბჭოთა კავშირთან, როდესაც უკანასკნელი არ იძლევა ამის საბაბს. ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ეხლა იმდენად ფართო და აქტიურია რევოლიუციონური მოძრაობა, რომ შეუძლებელია მათთვის საშინაო წინააღმდეგობის დაძლევა და საბჭოთა კავშირთან ომის წარმოება.

3) დიდ როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის გულწრფელი და გაბედული ომის საწინააღმდეგო პოლიტიკა, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ კეთილმეზობლური დამოკიდებულება შექმნას ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან, რომ შეუძლებელი გახადოს საერთოდ ომი. საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი წლების მანძილზე წარმოებული საგარეო პოლიტიკით, დაამტკიცა რომ ასეთ მშვიდობიანობის დაცვას მას ავალებს მისი შინაგან-სოციალური ბუნება, რომ ის პრინციპიალურად ეწინააღდმეგება ომს, როგორც საშუალებას სადავო საკითხების გადასაწყვეტად, რაც ეკონომიურად აღატაკებს ხალხს და სიცოცხლეს ართმევს მილიონობით მუშებსა და გლეხებს.

კაცობრიობის სიმპატია, რომელიც ომის წინააღმდეგაა განწყობილი, ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მხარეზეა. ამიტომაა, რომ ჩემბერლენები წინ და წინვე გრძნობენ ომის ინიციატივისთვის დიდ პასუხისმგებლობას და პროვოკაციული ტერორისტული აქტებით ცდილობენ ამ როლში საბჭოთა კავშირის გამოყვანას.

საერთაშორისო რეაქცია 10 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ეწევა არა ოფიციალურ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც მისი სისტემატიური მარცხით თავდება. მათ, ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღიდანვე აქვთ გადაწყვეტილი, საბჭ. ხელისუფლების დამარცხება, მაგრამ იგი დღემდე ვერ მოუყვანიათ სისრულეში და 10 წლის შემდეგ სრულიადაც შემთელიათ შანსები მისი განხორციელების. ინგლისის კონსერვატორებს არა ერთხელ შეუდგენიათ საორიენტაციო გეგმა საბჭოთა კავშირთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების, მაგრამ ყოველთვის დასჭირდათ მისი გადადება და შესაძლებელია, რომ ეს გაგრძელდეს მანამდე, სანამ გამარჯვებული მუშათა კლასი სამუდამოდ წაართმევს მათ ამის საშუალებას, ისტორიულ მუზეუმს ჩაბარებს მათ იმპერიალისტურ და რეაქციონურ გეგმებს, რაზედაც კიდევ ამყარებენ იმედს საბჭოთა კავშირის დამარცხებული კონტრ-რევოლიუციის ნამსხვრევები.

ქ. ჭეიშვილი.

# თბილისის აღმასკომის მუშაობა

## ადგილობრივი მრეწველობა

ამიერ-კავკასიის ქალაქებში თბილისს, როგორც გეოგრაფიულად ისე ეკონომიური მიმზიდველობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბაქო როგორც ნავთის სამეფო, თბილისზე გაცილებით მდიდარია, მაგრამ თბილისს გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ისე შეუწყო ხელი, რომ ის ამიერ - კავკასიის ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ცენტრად გადააქცია. ამას უნდა მიეწეროს ის მდგომარეობა, რომ ამიერ-კავკასიის მაშტაბით მომუშავე დაწესებულებები როგორც სახალხო კომისარიატები, ისე სხვა ორგანოებიც თბილისში არიან მოთავსებულნი.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ თბილისის განვითარებაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით და გავაშუქებთ მისი უმაღლესი ორგანოს—თბილისის საბჭოს მუშაობას და კერძოთ კომუნალური მეურნეობის საქმეებს.

ეს მით უფრო საჭიროთ მიგვაჩნია, რომ საქართველოდან განდევნილი უჯარო გენერლები დღემდე ვერ ისვენებენ და უსირცხვილოდ გაიძახიან, რომ თითქოს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისი გაიყინა, ტრამვაის მოძრაობა ნახევრად შეჩერებულია, ვინაიდან ბოლშევიკებმა ტრამვაის ვაგონები მოსკოვში წაიღეს (საბრალო მოსკოვი, თბილისის შესახები გამხდარა!), წყალსადენი ძლივს მუშაობსო და სხვა. საქართველოს მშრომელი ხალხი თავისი თვალით ხედავს ამ ცილისწამებათა უნიადაგობას. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ციფრების ალაპარაკება, რომ ჩვენი მიღწევანი საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ მშრომელთათვისაც თვალსაჩინო შეიქმნეს.

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით ადგილობრივი მრეწველობის განვითარების აღნუსხვას.

გასაბჭოების შემდეგ კომუნალურმა მეურნეობამ ვერ შეძლო მაშინვე მრეწველობის განვითარებაზე საჭირო ზომების მიღება, ვინაიდან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ქალაქისათვის პირველ მოთხოვნილების საჭიროებანი, როგორიც არის: წყალსადენი, ტრამვაი, სასაკლაო და სხვა, ისე იყო განადგურებული, რომ რამდენიმე წელიწადი ამ მეურნეობათა აღდგენისა და განვითარებისათვის ენერგიული ზომების მიღებას მოუნდა.

ამით აიხსნება ის, რომ თბილისის საბჭომ 1926 წლამდე მარტო აგურხანების და ლუდის ქარხნის ნაციონალიზაცია და მოვლა შესძლო. 1926 წელს, როცა კომუნალური მეურნეობის ყველა წამოწყებანი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგნენ და ზოგი მათგანის პროდუქციამ ომამდე არსებულ დონესაც გადააჭარბა, თბილისის საბჭომ თავისი შესაძლებლობანი ადგილობრივი მრეწველობის განვითარება-აყვავებისაკენ მიმართა.

1926 წლის დეკემბერში თბილისის აღმასკომთან დაარსდა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, რომლის ხელშიაც გადავიდა შემდეგი წარმოებანი: 1.—გაერთიანება „აგური“, რომელშიაც შედის 12 აგურის ქარხანა; მათში 9 მომქმედია, ხოლო 3 უმოქმედო; მოქმედ ქარხნებიდან 7 ადგილობრივი მრეწველობის უშუალო ექსპლოატაციაშია, ხოლო ორი იჯარითაა გაცემული. 2.—„ლუდი“, შედის ერთი ლუდის ქარხანა (ყოფილი ვეტცელის), ყინულის დამამზადებელი ქარხანა და ახალი ლუდის ქარხანა, რომლის აგებას უკვე შეუდგნენ. 3.—გაერთიანება „ხის ნაწარმი“, რომელშიაც შედის მექანიკური სარემონტო ქარხანა და გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა, რომელიც ამჟამად შენდება; 4.—ელექტრო-მექანიკური ქარხანა „თემქა“ და „ტილასის“ ყოფილი სახელოსნო. გარდა ამისა 1926—27 წ. ადგილობრივ მრეწველობას ეკუთვნოდა ორი სტამბა, მაგრამ ყველა სტამბების პოლიგრაფტრესტში გაერთიანების გამო, ეს სტამბებიც ს. მ. უ. ს. გადაეცა.

ამას გარდა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების ხელში არის ს. მ. უ.ს.-დან გადმოცემული ექვსი ქარხანა. რომელთაგან სამი მუშაობს და სამიც უმოქმედოა; მუშაობენ: კერამიკული ქარხანა—„ფაიანსი“, საპნის ქარხანა (ყოფ. ხომტოვისი) და მაკარონის ქარხანა. ამრიგად ადგილობრივ მრეწველობაში გაერთიანებულია 23 მომქმედი და უმოქმედო საწარმოო, აქედან უშუალო ექსპლოატაციაშია 12 საწარმო. იჯარით გაცემული 5, ხოლო დანარჩენი უმოქმედოა.

როგორი იყო ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მდგომარეობა იმ ქარხნებისა, რომელნიც აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების უშუალო ექსპლოატაციაში იმყოფებიან? ამაზე ავალაპარაკოთ ციფრები. აქ ჩვენ მოვიყვანთ ქარხნების მდგომარეობის მთავარ მაჩვენებლებს, როგორიცაა ჩაბმული მუშა ხელი, მისი ხელფასი და საერთო პროდუქცია.

### მაჩვენებლები უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში

1924/25 წელი

| მაჩვენებლები / ქარხნების დასახელება | მუშების რიცხვი | საერთო პროდუქცია | მუშის დღიური ხელფასი |
|---|---|---|---|
| აგურ-ქარხნები . . . . . | 218 | 188.720 | 3 მ. 51 კ. |
| თემქა . . . . . . . . . | 82 | 131.938 | 2 „ 30 „ |
| მექანიკ. ქარხ. . . . . . | 49 | 51.158 | 1 „ 93 „ |
| ლუდის ქარხანა . . . . | 36 | 201.770 | 1 „ 98 „ |

1925/26 წელი

| მაჩვენებლები / ქარხნების დასახელება | მუშების რიცხვი | საერთო პროდუქცია | მუშის დღიური ხელფასი |
|---|---|---|---|
| აგურ-ქარხნები . . . . . | 390 | 474.429 | 3 მ. 76 კ. |
| თემქა . . . . . . . . . | 87 | 160.137 | 3 „ 23 „ |
| მექანიკ. ქარხ. . . . . . | 80 | 124.092 | 2 „ 27 „ |
| ლუდის ქარხანა . . . . | 63 | 323.108 | 2 „ 20 „ |

1926/27 წელი

| მაჩვენებლები / ქარხნების დასახელება | მუშების რიცხვი | საერთო პროდუქცია | მუშის დღიური ხელფასი |
|---|---|---|---|
| აგურ-ქარხნები . . . . . | 417 | 636.379 | 4 მ. 20 კ. |
| თემქა . . . . . . . . . | 80 | 206.688 | 3 „ 82 „ |
| მექანიკ. ქარხ. . . . . . | 81 | 184.884 | 2 „ 96 „ |
| ლუდის ქარხანა . . . . | 73 | 482.663 | 2 „ 44 „ |

როგორც მკითხველი დაინახავს სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ წარმოებებს დიდი წინსვლა ეტყობა როგორც პროდუქციის, ისე ხელფასის და მუშების რიცხვის ზრდაში.-

თუ 1923/24 წლის ცნობებს ას პროცენტათ მივიღებთ, პროცენტებში მოცემული შემდეგი ორი წლის სურათი ფრიად საინტერესო იქნება.

**ცნობები პროცენტებში.**

მუშების რიცხვი.

| წ ლ ე ბ ი | აგურხანები | თიმქა | მექანიკური ქარხ. | ლუდის ქარხანა |
|---|---|---|---|---|
| 1924/25 წელი . | 100 | 100 | 100 | 100 |
| 1925/26 „ | 178,9 | 106,1 | 163,2 | 175,0 |
| 1926/27 „ | 191,3 | 97,6 | 165,3 | 202,8 |

პ რ ო დ უ ქ ც ი ა

| წ ლ ე ბ ი | აგურხანები | თიმქა | მექანიკური ქარხანა | ლუდის ქარხანა |
|---|---|---|---|---|
| 1924/25 წელი . | 100 | 100 | 100 | 100 |
| 1925/26 „ | 251,3 | 121,4 | 242,5 | 161,1 |
| 1926/27 „ | 337,2 | 156,5 | 361,4 | 239,2 |

მუშების დღიური ხელფასი.

| წ ლ ე ბ ი | აგურხანები | თიმქა | მექანიკ. ქარხანა | ლუდის ქარხანა |
|---|---|---|---|---|
| 1924/25 წელი . | 100 | 100 | 100 | 100 |
| 1925/26 „ | 122,9 | 121,9 | 118,5 | 109,7 |
| 1926/27 „ | 133,5 | 178,7 | 178,2 | 131,7 |

როგორც ცხრილებიდან სჩანს. ყველა აღნიშნულ წარმოებებში ჩვენ გვაქვს მატება მუშების რიცხვის, პროდუქციის და მუშის საშუალო დღიური ხელფასის. ასე იზრდებოდა და მიდიოდა წინ წლიდან წლამდე ადგილობრივი მრეწველობა.

ნატურალურ ერთეულებში პროდუქციის გამოყვანა შეიძლება მხოლოდ აგურის და ლუდის წარმოების, რაც შემდეგ სურათს გვაძლევს: .

**გამომუშავებულია აგური:**

1924 | 25 წელს — 6.743.000 ცალი — 100%
1925 | 26 „ —14.819.000 „ —218,7
1926 | 27 „ —19.810.000 „ —294,2

**გამომუშავებულია ლუდი:**

1924 | 25 წელს — 40·575 ვედრო - 100%
1925 | 26 „ — 76.368 „ —188,2
1926 | 27 „ —113.000 „ —278.5

აქ შეიძლება ზოგიერთისთვის გაუგებარი იქნეს ის გარემოება, რომ პროდუქციის პროცენტული ზრდა ნატურალურ ერთეულებში არ შეესაბამება ასეთივე ზრდას ჩერვონულ მანეთებში. ეს შეეხება როგორც აგურხნებს, ისე ლუდის ქარხნებსაც. საქმე იმაშია, რომ აგურის ქარხნების საერთო პროდუქციაში (მანეთებში) შედის ნახევარ-ფაბრიკატების ღირებულებაც, რაც ზრდის საერთო პროდუქციას, ხოლო პროდუქცია ნატურალურ ერთეულებში კი გულისხმობს მარტო მზა ნაკეთობას. ესე იგი გამომწვარ აგურს. ამ უკანასკნელი გარემოების გამო ნატურალურ ერთეულებში პროდუქციის ნაკლები პროცენტული ზრდა გვაქვს. წინააღმდეგი მდგომარეობა არის ლუდის ქარხნებში; იქ პროდუქცია მანეთებში ნაკლებ ზრდას გვაძლევს, რადგანაც, როგორც ვიცით, თანდათანობით ხდებოდა ლუდის ფასის დაწევა, ამავე დროს ნატურალურ ერთეულებში კი ლუდის ქარხნის პროდუქცია გაცილებით უფრო დიდ ზრდას გვიჩვენებს.

ჩვენ გვაქვს ცნობები აგურის ქარხნებისა და ლუდის ქარხნის პროდუქციის შესახებ 1913 წელს. ინტერესს არ იქნება მოკლებული ამ ცნობების შედარება უკანასკნელი წლის (1926—27 წლის) ცნობებთან.

1913 წელს აგურის ქარხნებში გამომუშავდა — 18.500.000 ცალი აგური, ლუდის ქარხანაში 140.000 ვედრო ლუდი. მუშები აგურის ქარხნებში მაშინ ყოფილა 510 კაცი, ლუდის ქარხანაში—60 კაცი, როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილებიდან ვხედავთ, აგურხანებში მაშინ მეტი მუშა ყოფილა, ვიდრე დღეს არის, მაგრამ პროდუქცია დღეს გაცილებით აჭარბებს 1913 წლის პროდუქციას, რაც საქმის რაციონალურად დაყენებას უნდა მიეწეროს.

ლუდის ქარხანაში წინააღმდეგს ვხვდებით: 1913 წ.

| რა უნდა გაკეთდეს | საჭირო თანხა | როდის უნდა იქნეს მზათ | მუშების და მოსამსახურ. რიცხვი 1932 წ. | მოსალოდნელი პროდუქცია 1932 წლისათვის |
|---|---|---|---|---|
| 1. ხის დამმუშავებელი ქარხნ. . . . . | 1.900.000 | 1929/30 წ. | 540 | 1.760.000 |
| 2. ლუდის ქარხანა . . . . . . | 818.000 | 1928/29 „ | 70 | 1.200.000 |
| 3. კარაქის ქარხანა . . . . . . | 249.000 | 1928/29 „ | 18 | 140.000 |
| 4. გელათის ქვისაგან კუბიკების დამმუშავებელი ქარხანა | 447.000 | 1928/29 „ | 108 | 375.000 |
| 5. კირის ქარხანა , . . . . . | 275.000 | 1929/30 „ | 50 | 100 000 |
| 6. აგურის ქარხანა . . . . . . | 300.000 | 1928/29 „ | 100 | 200.000 |
| 7. კერამიკული ქარხანა მცხეთაში . . . . | 300.000 | 1929/30 „ | 70 | 120.000 |
| 8. მაკარონის, ვერმიშელის და კონფექტის ქარხანა . | 500.000 | 1931/32 „ | 100 | 500.000 |
| ს უ ლ . . . . | 4.789.000 | — | 1.056 | 4.39500 |

ლუდის ქარხანაში ნაკლები მუშები ყოფილან, პროდუქცია კი მეტი, ვიდრე 1927 წელს. ეს მდგომარეობა კი იმით აიხსნება, რომ მენშევიკების დროს ლუდის გამომუშავება სრულიად არ სწარმოებდა. გასაბჭოების შემდეგაც მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რის გამო რაციონალიზაციის ტემპი აღნიშნულ წარმოებაში ისეთი არ იყო, როგორც სხვა წარმოებებში. ამჟამად მიღებულია ზომები: შენდება ახალი ქარხანა და ლუდის დამუშავების რაციონალიზაცია წინ წავა; მომავალში, ვფიქრობთ, ამ მხრივ ნორმალური მდგომარეობა გვექნება.

როგორია ადგილობრივი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები?

განყოფილების 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, 1932 წლამდე ადგილობრივ მეურნეობის ახალი ქარხნებისა და ძველის გასაფართოებლად უნდა დაიხარჯოს 9.144.000 მანეთი. ზედმეტი არ იქნება თუ აქვე აღვნიშნავთ მთავარ სამუშაოებს, რომელნიც უნდა იქნეს ჩატარებული ხუთი წლის განმავლობაში.

(ცხრილი იხ. მე-10 გვერდზე).

ჩამოთვლილ ქარხნებში აუცილებლად აღსანიშნავია გელათის გრანიტის დამმუშავებელი ქარხანა, რომელიც აგებული იქნება ქუთაისის ახლოს, სოფ. კურსებში, და დიდი მნიშვნელობა ექნება ქუთაისის ეკონომიურ განვითარებისთვის. ხელისუფლების მიერ საერთოდ არის მიღებული ზომები, რომ ქუთაისი გამოცოცხლდეს და სამრეწველო ქალაქად გადაიქცეს. კურსებში აგებული ქარხანა დაამუშავებს ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკებს, შენობებისათვის, საფასადე და ჩუქურთმების ამოსაჭრელად საჭირო ქვებს. აღნიშნულ ქარხანას დიდი მნიშვნელობა ექნება ამიერ-კავკასიისათვისაც და ამიტომ ქარხანა აგებული იქნება იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს მთელი ამიერ-კავკასიის ქალაქების მოთხოვნილება და დამზადებულ ქვების ნაწილი გატანილი იქნეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც. ქარხნის აგებაში მონაწილეობას ღებულობს ქუთაისის სამაზრო აღმასკომიც. პირველ წელიწადს მუშაობის დასაწყებად თბილისის აღმასკომმა გადასდო 150.000 მანეთი, ხოლო ქუთაისის აღმასკომმა 80.000 მანეთი. ქარხანასთან მოეწყობა ბინები და რიონჰესის ამუშავებამდე დროებითი ელსადგური.

აღნიშნულ ქარხნებს გარდა განზრახულია კიდევ სხვა პატარა ქარხნების აშენება და არსებულის გაფართოება. საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, ხუთ წელიწადში უნდა დაიხარჯოს 9.144.000 მანეთი, რის შედეგათ მივიღებთ 9.547.000 მანეთის ყოველწლიურ პროდუქციას, ხოლო მუშების და მოსამსახურეების რიცხვი 5 წლის შემდეგ იქნება 2.470 კაცი. აი, მოკლედ ადგილობრივი მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი პერსპექტივები

შალვ. გომართელი.

# გზაჯვარედინზე*)

**1905 წელი.**

**(ნაწყვეტი მოთხრობიდან)**

ახლად დაღამებული იყო, რომ მამასახლისმა ქლოშინ - ქლოშინით მოვიდა კანცელარიაში. თამროც თან მოიყვანა. რაზმის უფროსმა გამოძინა, ოთახში ბრაზმორეული მიმოდიოდა, სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, იატაკზე ჩექმის ჰრახა-ბრუხი ეზოში ისმოდა. წარუდგინა თამრო. მამასახლის საჩუქრად ორჯერ- სამჯერ გადააწნა მათრახი. საცოდავ მამასახლისმა პატიება სთხოვა...

— სად ხარ ამდენ ხანს სად, შენ გონია მე მეტი საქმე არა მაქვს, ციხეში ჩაგალპობ, გესმის თუ არა.

— გასწი, გაეთრიე, დაუბრახუნა ფეხები მამასახლისს.

მამასახლისი უხმოდ გამობრუნდა გარეთ. დარჩა მარტო თამრო. ოთახში გამეფებულ სიჩუმის დარღვევას ერთი ბუზი ბედავდა. ის არხეინად დაფრინავდა ერთი ადგილიდან მეორეზე; უხაროდა რომ თბილ ოთახს შეაფარა თავი, მგონი ის ერთად ერთი იყო, რომელსაც არ ეშინოდა დამსჯელი რაზმის უფროსის.

თამროს შეშურდა ბუზის მდგომარეობა.

— ბედნიერია ეს ბუზი უცბად გაიფიქრა მან. მას არ ეშინია ამ მხეცის, ბზუის თავისებურად. ლაპარაკობს, ვინ იცის რას ამბობს, ჩვენ კი, ჩვენ კრინტი ვერ დაგვიძრავს. ენა პირში ვერ მოგვიბრუნებია. „რათ მინდა ხმალი, გინდ იყოს მჭრელი. თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება“ გაახსენდა თამროს პოეტის სიტყვები. აზრები თამროს ელვის სისწრაფით ძოდიოდა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, რათ დგახართ, მობრძანდით ახლოს ბუხართან, გეტყობათ გცივათ. მეტად გაუკვირდა თამროს ჯალათის ასეთი ზრდილობა. მაგრამ დაჯდომას მაინც არ აპირებდა.

— თქვენ იცით რაზე შეგაწუხეთ?

— არა, არ ვიცი,—მიუგო მოკლედ თამრომ.

— მე მინდა თქვენ ჩვენება ჩამოგართვათ გიორგი წუთისოფლელის შესახებ, მოკლეთ მიპასუხეთ კითხვებზე.

თანხმობის ნიშნად თამრომ თავი დააქნია, რაზმის უფროსმა პაპიროს მოუკიდა, ორჯერ-სამრეჯ მოსწია, მაგრამ ვაი მისთანა მოწევას: აუვარდა საშინელი ხრინწიანი ხველა, დიდხანს ახველა, საზიზღარი სანახავი იყო ის ამ დროს: ხან წელში მოიღუნებოდა, ხან ფეხებს აამუშავებდა, თავს ჭირიან ინდოურივით აქნევდა აქეთ-იქით. თამრო მორიდებით ცხვირსაცხოს იფარებდა პირზე.

— ოხ, დასწყევლოს ღმერთმა, გავცივდი, საშინელი ცივი ზამთარია წელს თქვენში, მიმართა მან თამროს. თამრო სდუმდა.

— ხო, იმას მოგახსენებდით, მე მინდა თქვენი საშუალებით დაწვრილებით გამოვარკვიო გიორგის ვინაობა. თქვენ დიდი ხანია იცნობთ მას?

— სულ ორი წელიწადია.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ მასთან,— და თან უფროსი უშნოდ დაიღრიჯა.

— სრულიად მეგობრული, მოკლედ მოუჭრა თამრომ.

— არა, მართალი მითხარით, ის თქვენი საქმრო იყო თუ საყვარელი.

— მე მგონი, ასეთი კითხვები არ არის საჭირო.

— არა, როგორ არა, საჭიროა.

— მე ასეთ კითხვებზე თქვენ პასუხს არ მოგცემთ.

— მაშ ეს მითხარით, რომ გავანთავისუფლო „მაგარიჩი“ იქნება?

თამრომ პასუხი არ გასცა.

— არა, მითხარით, თქვენი გიორგი, რომ გაგინთავისუფლოთ გაგეხარდებათ თუ არა? უფროსი თანდათან უახლოვდებოდა თამროს. მხარზე ხელის დადებაც კი მოინდომა, მაგრამ თამრომ გაკვირვებით დაიხია უკან. რაზმის უფროსი მაინც არ ეშვებოდა.

— არა, მითხარი, ძალიან გინდათ თუ არა გიორგის გულში ჩაკონება? და თან თვალებში ჩააშტერდა.

— გთხოვთ, ასეთ კითხვებს თავი დაანებოთ.

— არა, მითხარით ძალიან გიყვართ? მოგენატრათ უკვე?

თამრომ კვლავ დუმილით უპასუხა.

— არა, რომ გავანთავისუფლო გინდათ თუ არა? თუ ძალიან მთხოვთ, მოვახერხებ ამ საქმეს.

— ჩვენ მოწყალებას არ ვთხოულობთ. მან კარგად იცის თუ რისთვის სჯიან მას, — ამის აწევით უპასუხა თამრომ.

---

*) იხ. „ახ. გზა“, № 47.

რაზმის უფროსი სრულიად არ მოელოდა ასეთ მკაცრ პასუხს, მას ეგონა, თამრო სიხარულისაგან მუხლებზე აკოცებდა, მაგრამ მოსტყუვდა, კვლავ ჩამოვარდა იდუმალება, რომელშიაც ნათლად სჩანდა რაზმის უფროსის ზრახვები... ის დაიბნა. არ იცოდა რა ხერხისათვის მიემართა. ბოლოს გადასწყვიტა პირდაპირ მიეტანა იერიშები. უცბად კარები ჩაკეტა, თამროს ფერი ეცვალა, შეკრთა შველივით. იგრძნო გამხეცებული ადამიანის მიზნები.

— გთხოვთ გამიშვათ, შესძახა მან უფროსს.

— ნუ ცხარობ, ლამაზო, ჩემთან სიმკაცრე არ გაგივა... გაშმაგებული მივარდა თამროს და დაუწყო კოცნა. თამრო ცეცხლივით აენთო, უნდოდა დაეკივლა, მაგრამ გაშმაგებულმა ჯალათმა პირზე ხელი დააფარა. თამრომ დაკარგა მოშველების იმედი. ან ვინ გაბედავდა მოშველებას. დაეყრდნო საკუთარ ძალას, ნებისყოფის სიმტკიცეს. მაგრამ რას გააწყობდა ნაზი, სუსტი არსება ამ ვეებერთელა დათვ კაცთან. დაიწყო ბრძოლა. გამხეცებული რაზმის უფროსი გადავიდა შეტევაზე. თამროს წელში მაგრათ მოხვია ხელი და ლოგინისაკენ მიათრევდა... მაგრამ ამაოდ, ვერ შესძლო. მოქანცული თამრო იატაკზე გაიშხლართა, აქ დააპირა უფროსმა თავისი მხეცური ჟინის მოკვლა, მაგრამ თამრომ მოიკრიბა ძალ-ღონე, უცბად ფეხზე წამოდგა და კარებს მიაშურა, კარები დაკეტილი იყო. მოასწრო ორჯერ-სამჯერ დაკივლება, შემდეგ უფროსმა ცხვირსახოცით აუკრა პირი.

კვლავ გაჩაღდა ბრძოლა, არც ერთი მხარე არ სთმობდა. რაზმის უფროსიც კი დაიღალა. საცოდავი თამრო მომაკვდავს დაემგზავსა. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ის უსულგულოდ დაეცა იატაკზე. რაზმის უფროსი მსუნაგ ნადირივით მივარდა თავის საკბილო მსხვერპლს და ლოგინზე დააწვინა, თამრო უკანასკნელად ერთხელ კიდევ შეებრძოლა და შემდეგ დაჰკარგა გონი...

აღსრულდა, გაიმარჯვა რაზმის უფროსმა.

— ეი, ვინ ხარ მანდ. წამოიძახა მან უცბად, კარები გააღო. შემოვიდა ორი ჩაფარი და ერთი იასაული.

— წაიყვანეთ ეს ქალი, დაკითხვის დროს უცბად გული შეუწუხდა, ეტყობა ძალიან შეყვარებულია, გაიყვანეთ მოასულიერეთ და სახლამდის მიაცილეთ.

— გვესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — ერთხმად შესძახეს ჩაფრებმა. ხელში აიღეს და გაიტანეს გრძნობა დაკარგული ქალი, ტახტზე წამოაწვინეს. ჩაფრებსაც კი შეეცოდათ საცოდავი ადამიანი. თამრო თანდათან გონს მოვიდა. ყველაფერი სიზმარი ეგონა, მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი ცხადათ მოხდა. ფეხზე ბარბაცით წამოდგა და წასვლა დააპირა, მაგრამ იასაულმა ურჩია:

— ღამეა, ნუ წახვალთ, ამაღამ აქ დაიცადეთო.

თამრომ პასუხი არ გასცა. ნელის ნაბიჯით გაუდგა გზას. ცოტა რომ გაიარა, უცბად მუხლებში ჩაიკეცა. მოღალული, მოქანცული, სიცივისა და სიმშილისაგან არაქათ გამოლეულს ღონე აღარ ყოფნიდა. თამრომ თანდათან უფრო მძლავრად იგრძნო განვლილი მწარე წუთები. გულში რაღაც ეკალივით ესობოდა. გაახსენდა გიორგი. მასთან გატარებული ლამაზი წუთები. თვალები ცრემლებით აევსო...

— აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე, შემძულდა ჩემი თავი, აღარ მინდა სიცოცხლე... გაიფიქრა თამრომ და ფეხზე წამოდგა, მაგრამ იქვე ჩაიკეცა. თოვდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. შორიდან მოისმოდა მხოლოდ მდინარე ყვირილას ხმაურობა.

—:—

საამური დილა იყო. კუდრაჭა დილის მზის სხივები ცელქობდენ გიორგის საკნის ფანჯარაზე. დღეს რაღაც გიორგი არ იყო კარგ გუნებაზე. ნელი ნაბიჯით მიდიმოდიოდა.

— ეს ოხერი გაზეთი მაინც მოიტანონ დროზე, ჩაილაპარაკა მან თავისთვის; გიორგი ყოველ დღე მოუთმენლად ელოდა გაზეთს. ის იყო მისი ერთად-ერთი მეგობარი ციხეში. დიდხანს არ დასჭირდა ცდა. დილის 8 საათი იქნებოდა, რომ ფანჯრიდან მალულად გადასცეს მას გაზეთ „გრიგალი“-ს უკანასკნელი ნომერი. გიორგიმ გაზეთს გაფაციცებით დაუწყო გადათვალიერება. უცბად შეკრთა... ფერი ეცვალა..; თვალი მოკრა შავ არშიებში ნაცნობ სახელს... გულამოკვნესით ამოიკითხა: „ტრაგიკულად გარდაიცვალა თამრო მშვენიერაძე, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებულის მშობლები“.

გიორგიმ უხმოდ ჩაიკეცა... ცრემლებმა მისდა უნებურად. ღაპა-ღუპით იწყეს. დენა... უცბად ციბრუტივით წამოდგა ფეხზე... აუვარდა ტირილი;

— ვინ არის მანდ რომ ხმაურობს, სიცოცხლე ხომ არავის მობეზრებია, მოისმა გარედან ციხის გუშაგის ხმა.

— დიახ, მომბეზრდა, მომბეზრდა, თქვე ჯალათებო! ჩაილაპარაკა თავისთვის გიორგიმ და თავი მისცა მწარე ფიქრებს.

გრ. მაჭავარიანი.

(გაგრძელება იქნება).

# ყოფილ სოც. დემოკრ. მენშევიკების განცხადება*)

(გურია)

გეგენავა თეოფილე, მიქატაძე ვლადიმე, ხინთიბიძე ბიკტორ, ანდღულაძე ნიტიფო, ბელეშაძე ბათლომე, სალუქვაძე ნოე, ანდღულაძე ვალოდი, ანდღულაძე კალისტე, ანდღულაძე სამსონ, ხინთიბიძე ამბროსი,.

არახამია იოსებ, სამსონია ალფესი, ხინთიბიძე კამგელაძე მიხაკო, ჩხაიძე ივაკი, გოგუაძე გრიგოლ, მიქატაძე სამუელ, ანდღულაძე სერგია, სამსონია მიხაკო, ჭეიშვილი ერმილე.

სიხარულიძე თამარა, ბერეჟიანი ნიკო, ქარცივაძე ყარამან, ქადიეშვილი სარა, კვაჭანტირაძე ისიდორე, ჩავლეიშვილი ესე, დარჩია ლევანტი, ჩხარტიშვილი მოსე, ჩხარტიშვილი გიორგი, ჩხარტიშვილი სანდრო.

ჩხარტიშვილი კალისტე, ჩხარტიშვილი პოლიანტე, კანდელაკი გაბრიელ, დარჩია ხარიტონ, ჩხარტიშვილი სამსონ, ბილიხოძე გაბრიელ, ჩხარტიშვილი მონელ, ჩხარტიშვილი ვასილ, ბილიხოძე ბათლომე.

ჩხარტიშვილი რემანოზ, ჩხარტიშვილი სიმონ, ჩხარტიშვილი სიო, რუსიძე იაკობ, ჩხარტიშვილი გიორგი, ანთიძე გერასიმე, ჩხაიძე სიმონ, ჩხარტიშვილი ერემია, დონდოლაძე გიორგი, სირაძე კალისტე.

კუპრაძე ნოე, ჩხარტიშვილი კირილე, დარჩია რემანოზ, ჩხარტიშვილი პლატონ, ძეგიაძე შალვა, ტრაპაიძე გრიგოლ, თაყაიშვილი ლავრენტი, გურგენიძე ირაკლი, ღლონტი ივანე, რამიშვილი პავლე.

რამიშვილი გაბრიელ, რამიშვილი დათიკო, რამიშვილი ესე, რამიშვილი კაპიტონ, ხუნდაძე თედორე, რამიშვილი მაკარი, რამიშვილი პართენ, რამიშვილი შალვა, რამიშვილი არჩილ, რამიშვილი ივანე.

რამიშვილი სერგო, რამიშვილი მიხაილ, რამიშვილი ტიფო, რამიშვილი ფარნაოზ, რამიშვილი გაბრიელ, რამიშვილი ლევან, რამიშვილი გიორგი, ხუნდაძე ვალერიან, რამიშვილი კირილე, რამიშვილი არჩილ.

რამიშვილი სიმონ, შათირიშვილი ესე, რამიშვილი ივანე, რამიშვილი სილევან, რამიშვილი პანტელიმონ, რამიშვილი ერასტო, რამიშვილი პლატონ, რამიშვილი სარდიონ, კალანდაძე ონიფანტე, რამიშვილი ილია.

რამიშვილი იაგორ, სადრაძე პლატონ, ნაკაიძე გერასიმე, სადრაძე ნიკო მალაზონია ნიკიფორე, წითლიძე დომენტი ბაქანიძე აკაკი, წითლიძე აკაკი, ბოლქვაძე თედორე, ბოლქვაძე კალენიკე.

ზოიძე ივანე, გოგოტიშვილი იაგორ, ტულუში დათიკო, ღლონტი სილიბისტრო, ჩხარტიშვილი მოსე, ებგეს-

*) იხ. „ახალი გზა“, № 47.

ძე დიმიტრი, ღლონტი ბესარიონ, ტუღუში ბარათი, მიქაბერიძისა ელენე, გოგუაძე ისაკი.

ტყეშელაძე დათიკო, ტყეშელაძე იაგორ, დევიძე მათე, მეფარიშვილი გიორგი, წულაია დიმიტრი, კორტიკაძე კატუშა, იწტიაშვილი სიმონ. ძნელაძე ლუკა, დოლიძე კონსტანტინე, ზარბაზია კალისტრატე.

ზაქარეიშვილი რაფიელ .ზაქარეიშვილი ივანე, ბუბუტეიშვილი ერმალო, ძნელაძე გიორგი, ქკუასელი ლადიმე, კოტალაძე სევერიანე, მგალობლიშვილი შალვა, რამიშვილი სიმონ, ძნელაძე ივანე, ვაჩეიშვილი არსენ.

თევზაძე თეოფანე, კვინტრაძე ტერენტი, ზაქარეიშვილი გრიგოლ, ბერაია ლადიმერ, გოგიტაძე ვარლამ, ზაქარეიშვილი ვარდენ, ძნელაძე ივაკი, ბერაია სოლომონ, ქორიძე მათე, ქორიძე ვასილ.

ქორიძე დიმიტრი, ჭეიშვილი ვახტანგ, მამინაიშვილი კონსტანტინე. მეგრელაძე ფილიპე, ესაძე კოწია, ჩიტაიშვილი ვასილ, ორაგველიძე მიშა, გეგიაძე ყარამან, ვანიძე სანდრო, ვანიძე ისაკი.

ლომჯარია იაგორ, გეგიაძე ანდრო, ინდიბიძე ფილიპე ერქომაიშვილი ყარამან. ჩიტაიშვილი ვასილ, დუმბაძე ეპიფანე, ჩიქერიკი რაჟდენ, ცისკარიძე ილარიონ, ვანიძე გიგო. ჩიტაიშვილი ირაკლი.

თოდრაძე მირიან, ჭეიშვილი ივანე, დუმბაძე იაგორ, ერქომაიშვილი იოსებ, თოდრაძე დიომიდე. თოდრაძე ნიკო, შალიკაშვილი კონსტანტინე, გიორგაძე ბენია, ხუბუტია თამარა.

ევგენიძე კონსტანტინე, ჩხარტიშვილი გრამიტონ. კომახიძე გრიგოლ, მეგრელაძე ელისო, ჯორბენაძე დარია, ნაკაიძე ლავრენტი. ყაჭეიშვილი გერასიმე, ყაჭეიშვილი პროკოფი, ჯიჯიეიშვილი ქრისტეფორე, დოლიძე კაპიტონ.

ტუღუში ჯიმშე, კვერენჩხილაძე გიორგი ძიმისტარიშვილი ალფესი, თავართქილაძე ივანე. გუჯაბიძე იოსებ, გუჯაბიძე ანორო ყაჭეიშვილი მელიტონ, გუჯაბიძე ერმილო. მახარაძე ლევანტი, გოგვაძე ალექსანდრე.

გოგვაძე ბიქტორ. გურგენიძე იაკინთე. მშვიდობაძე ეფრემ, მიწაიშვილი ფილიპე ჯიჯიეიშვილი გიორგი, ჩხარტიშვილი გიორგი, ღლონტი სარდიონ, ჩხაიძე კვირიკე, ტიკარაძე ნიკო ურუშაძე ნიკიფორე.

უშვერიძე ლავრენტი, სარიშვილი ერასტო, ჯიჯიეშვილი სამსონ. დოლიძე სოლომონ. მახარაძე კოტე, დოლიძე ნესტორ, დოლიძე გრიგოლ, ჯიბლაძე იაგორ, ლორთქიფანიძე ივტიხი, ჯიბლაძე შალვა.

ჯიბლაძე პარმენ, ლორია გრიგოლ, დოლიძე ისაკი, დოლიძე იოსებ შაფათავა კალისტრატე, დოლიძე პლატონ, დოლიძე რუბენ, დოლიძე თედორე, დოლიძე სერგო, დოლიძე ბენიამენ.

დოლიძე ვასილ, ჭანიშვილისა ანეტა, ჟღენტი იასონ. ჟღენტი ხარლამპე, ჩიჩუა ნიკიტა, გრიგორიევი კოსტა, ბურჭულაძე ევტიხი ბურჭულაძე ივანე, ბურჭულაძე ქრისტაფორე, ბაზირია გრიშა.

წეროძე სერგო, ხონელია დათიკო, ჟღნეტი სეო, ესაძე, დავით, ლომთათიძე დათიკო, ლომთაძე ფილიმონ, ჟღენტი დათიკო, თავართქილაძე კოსტა, გოგიბერიძე ივტიხი. კალანდაძე სერგო.

გოგიბერიძე დანიელ, გოგიბერიძე მიხაკო, თავბერიძე ილიკო, გოგიბე[illegible]ე ხარიტონ, ლომთათიძე გრიგოლ, გოგიბერიძე პარმენ. გოგიბერიძე ივანე ლომაძე სიმონ ჯაში ფილიპე, გოგიბერიძე კოლია.

კალანდაძე მირიან, მეგრელიძე კალენიკე, კალანდაძე ვალერიან, შონია სანდრო, ქორიძე ქსენია, წიტაიშვილი იაგორ, კალანდაძე ივანე, კალანდაძე პავლე, თედორაძე პეტრე, ფოცხიშვილი ერმალო.

კალანდაძე ლავრენტი, ელიაშვილი ნიკო წიტაიშვილი ჯიმშერი, კალანდაძე მელიტონ, გოგიბერიძე იაგორ, ჟღენტი გრიგოლ, გოგიბერიძე ევტიხი, ჯაში იპატი, ჯაში ვერა. ჯაში მონასე.

ჯაში ავთონ, თავართქილაძე მოსე, თავართქილაძე ვარდენ, ლომთათიძე ივანე, ლომთათიძე ვანო, ლომთათიძე პეტრე, კალანდაძე მელიტონ, ლომთათიძე ნოე, ლომთათიძე ნიკიტა, ცენტერაძე პროკოფი.

ჩიგოგიძე ვასილ, ასათიანი აკაკი, დუმბაძე კოჭია, ჩიგოგიძე ბგელარ, ფოცხიშვილი პანტელიმონ, გუნთაიშვილი ივანე, ლომთათიძე ბესარიონ ლომთათიძე პოლიი, ჯაბუა იაკობ. ჩიგოგიძე ერმილე.

ჩიგოგიძე მალაქი, სარჯველაძე ივანე, სულაბერიძე ნოე. ინარიძე სიმონ, სამსონია ალექსი, სამსონია ისაკი, ცეცხლაძე მელიტონ, ურუშაძე ალექსანდრე, შარაშიძე გიორგი. ლომთათიძე ვარლამ

სიხარულიძე ლევანტი, ყაჭეიშვილი ხალამპრე, ყაჭეიშვილი ომეხი. სიხარულიძე სეფე, სიხარულიძე მირიან. ყაჭეიშვილი ვალერიან. სიხარულიძე იორდანე, სიხარულიძე იასონ, ყაჭეიშვილი გიორგი, სიხარულძე კოწია.

ყაჭეიშვილი ზაქრო, სიხარულიძე ნანიკო, ყაჭეიშვილი ამროსი. სიხარულიძე სერგო, დოლიძე სერგო, დოლიძე პორფილე, დოლიძე აკაკი, დოლიძე კაპიტონ, დოლიძე ივანე. დოლიძე ლადიმე.

დოლიძე თეოფილე, დოლიძე გიორგი, დოლიძე ალექსანდრე, კომახიძე გრიგოლ, ბურჭულაძე ალექსანდრე, წეროძე ლადიკო, კალანდაძე სილევან. დოლიძე სილიბისტრო, ბუკია მიხაკო, ახდოულაძე ილიკო.

მუხაშავრია ვანო, წილოსანი კირილე, მუხაშავრიასი მაშიკო, გოგიბრეიძე ვიკტორ, ჩვლეშვილი რაჟდენ, სირაძე პარმენ, ჩაველეშვილი სილიბისტრო, ჩანტლაძე ტარასე, ბუკია მარო, მიქაძე მიხაკო.

ჩაველეიშვილი სოლომონ. მუხაშავრია არჩილ, თავართქილაძე სამსონ, ცხომელიძე ივანე, ცხომელიძე კაპიტონ, თავართქილაძე გლახუნ. გურგენიძე გიორგი, მიქაშავიძე ილაკრი, გაგუა ნიკიფორე, ბოლქვაძე ესე.

გაგუა კასიანე, მგელაძე გიგო, შალიკავა ვარლამ, ძიქაშავიძე ბარნაბ, კალანდაძე პროკოფი, შალუღლარია სიმონ, ლომთათიძე ივანე, გოგიბერიძე დავით, სიხარულიძე ილარიონ. სიხარულიძე ალმასხან.

დოლიძე ხალამპრე, ბერძენიშვილი გიორგი, დოლიძე პარმენ, წიტაიშვილი ილარიონ, კალანდაძე ალფესი. ნიხიძე კოლე. ნინიძე ტარასი, ნინიძე ვარლამ, ჩაველეიშვილი ბარნაბ. სარიშვილი ტიტიკო.

ახალაძე ილიკო, ნიკოლაიშვილი ალექსი, ნინიძე გიტო, თავართქილაძე გიორგი, კალანდაძე ონოფრე, კილურაძე ხარიტონ, გუგუნავა გრიგოლ, სიხარულიძე ეპიფანე, სიხარულიძე პასიკო, დათუნაიშვილი პლატონ.

ღლონტი ლავრენტი, მათითაიშვილი ერმალო, სამსონია პახუმ, ჩხაიძე ვარლამ, ჯაყელი ერმისი, სალუქვაძე ფილიპე. ქურიძე სიმონ, გოგელია მიხაკო, ქურიძე ლავრენტი, ჯაყელი შალვა.

ქურიძე ესტატე, ღლონტი მიხეილ, მორჩილაძე ევგენი, სამსონია ლადიკო, ჩხაიძე სოლომონ, თოხაძე ილიკო, პინაიშივლი ვარლამ, მჟავანაძე ასლან, თოხაძე იოსტინე, მგელაძე მელენტი.

ვადაჭკორია ტარასი, ჩხაიძე ანნა, მორჩილაძე სერაპიონ, ღლონტი მოსე, გოგელია ელიაზარ, გოგელია ივლიანე, ღლონტი ლავრენტი, მორჩილაძე იორდანე, ღლონტი აქვსენტი. გოგუაძე შალვა.

მათითაიშვილი გიორგი, ქურიძე ივანე, ხუხუნაიშვილი რაჟდენ, ხუხუნაიშვილი მილოსი, კუკულავა იაგორ ხუხუნაიშვილი ანტონ, ხუხუნაიშვილი ალფესი, ხუხუნაიშვილი ბესარიონ, ხუხუნაიშვილი მევარკაცი, ხუხუნაიშვილი კირილე.

ხუხუნაიშვილი არტენ, მგელაძე ხარიტონ, ხუხუნაიშვილი ნიტიფო, ხუხუნაიშვილი პეტრე, ხუხუნაიშვილი მათე, ხუხუნაიშვილი არსენ, კუკულავა სილიბისტრო ჩხარტიშვილი დიმიტრი, ქინქლაძე ნიტიფო, ჩხაიძისა მარია.

ჩხაიძე დავით, ჩხაიძე კალისტე, ჩხაიძე ლადიმე, ჩხაიძე იაგორ, ქინქლაძე აპოლონ, ტუსკია გერასიმე, ჭანტურიშვილი გრიგოლ, ჩხაიძე იორდანე, ჩხაიძე მელქისე, მგელაძე პამფილე.

პატარაია აქვსენტი, ტუსკია სერგო, ჩხაიძე სიმონ, პატარაიასი მარია, ჯიჯიეიშვილი ლადიმე, ჩხაიძე ყარამან, ჩხაიძე ბესარიონ, კვაჭაძე კოლია, ხოფერია კირილე, მურვანიძე დიომიდე.

ჭყონია ერასტო, მურვანიძე კლიმენტი, მურვანიძე ლავრენტი, ბზეკალავა კოწია, მურვანიძე ილიკო, მანწკავა ფილიპე, ანთაძე მიხაკო, კვაჭაძე ნოე, კვაჭაძე ნოე, ანთაძე სოლომონ.

მურვანიძე გაბრიელ, გოგიჩაიშვილი ბარნაბ, გიგინეიშვილი პროკოფი, გოგუა სილიბსტრო, ანთაძე კალისტე, გოგუა ნესტორ, ნაცვალაძე პანტელიმონ, ჯინჭარაშვილი ლადიკო, სეფერთელაძე ისაკი, დოლიძე ისიდორე.

ნინიძე ილარიონ, ნინიძე მამია, შავარდნაძე ტიტიკო, ჯინჭარაშვილი თადა, ჭეიშვილი კალენიკე, ვასაძე სილიბისტრო, ნაცვალაძე ფილიპე, ჯაველიძე მონასე, წიტაიშვილი პლატონ ჩხაიძე პავლე.

ჩავლეიშვილი ალექსანდრე, ნაცვალაძე მიხეილ, თალაკვაძე დიმიტრი, ჯაველიძე ნოე, ვასაძე ნიკო, ვასაძე ვასილ, მელუა დიმიტრი, ანდღულაძე ვარლამ, ანდღულაძე კირილე, შავარდნაძე სევერიანე.

ჩავლეიშვილი ერმილე, ჩავლეიშვილი გრიგოლ ჩავლეიშვილი ივანე, ჩავლეიშვილი ვლადიმერ, მეგრელაძე ბარნაბ, ჩავლეიშვილი ლადიკო, ანდღულაძე ილაირონ, ანდღულაძე ილაკრი, მეგრელაძე სამსონ, მეგრელაძე ალექსანდრე.

დუმბაძე იპოლიტე, ჩავლეიშვილი ნიკიფორე, ჩავლეიშვილი გალაქტიონ, მჟავანაძე აპალო, მამეშვილი ალექსანდრე, მჟავანაძე ერმალო, ანდღულაძე ვასილ, მეგრელაძე იაგორ, თალაკვაძე ალექსი, თალაკვაძე მანუილ.

სარიშვილი ლადიკო, შარაშიძე პავლე სიამაიშვილი სარდიონ, სიამაიშვილი დათიკო, ებგენიძე კონსტანტინე, ებგენიძე მოსე, ქლენტი სერგო, თალაკვაძე სიმონ, გუჯაბიძე ელისე, ინწკირველი მირიან.

თალაკვაძე ვალოდი, თალაკვაძე ანტონ, თალაკვაძე ბარნაბ, გუჯაბიძე იაგორ, თალაკვაძე ივანე, ნაჭყეპია ლადიკო, კილურაძე ყარამან, ქლენტი სიმონ, ნინუა მოსე, ანდღულაძე არსენ.

გიორგაძე პროკოფი, თავართქილაძე პართენ, ანდღულაძე ერმალო, ანდღულაძე შალვა, წიტაიშვილი ეროდი, ივანოვი იგორგი, ქლენტი მირიან, მჟავანაძე ანანი, წიტაიშვილი არტემ, კილურაძე დათიკო.

ქლენტი გიორგი, ჯინჭარაძე სამსონ, ვასაძე მიხეილ, ჯაველიძე სერგო, თალაკვაძე თედორე, სიამიშვილი სევასტი, დოლიძე ვარლამ, კვაშალი ბესარიონ, კვაშალი ალექსანდრე, მჟავანაძე ნესტორ,

მუჯირი რაჟდენ, აროზელიძე სერგო, დოლიძე გრიგოლ, ჩავლეიშვილი ილარიონ, ჭეფხოძე დიმიტრი, ჩხარტიშვილი კოწია, ჩხარტიშვილი ტერენტი, ჩხარტიშვილი გრიშა, ჩხარტიშვილი ბათლომე, ზურაბიშვილი სოლომონ.

ჩხარტიშვილი ნიკოლოზ, საბაშვილი თომა, აბაშმაძე კირილე, ზურაბიშვილი ვარლამ, მახარაძე იაკინთე, სადრაძე კონსტანტინე, სადრაძე ხარიტონ, აბაშმაძე ექვთიმე, ხუნგია ალექსანდრე მამულაიშვილი ივანე.

მახარაძე გიორგი, საბაშვილი ივანე, სადრაძე მელქისა, ხომერიკი კირილე, გირკელიძე ვასილი, სადრაძე არსენ, სადრაძე მათე, სადრაძე ილიკო, შუბლაძე ევტიხი, სიმონიშვილი ილაკრი.

ჭანუყვაძე სერგო, დუმბაძე ივანე, ჭანუყვაძე დათიკო, მდივანი ილაკრი, გორგაძე სილევან, ფირცხალაიშვილი იოსებ, ბობოყვაძე ისაკი, ხუნგია ევტიხი, ხუნგია თეოფილე, სადრაძე კირილე.

სადრაძე მასიკო, ზურაბაიშვილი სანდრო, ბობოყვაძე სიმონ, სადრაძე რადიონ, მენაბდე დიომიდე, ჩხაიძე ვლადიმერ, სადრაძე ბიკტორ, თიკანაძე ერასტო, მენაბდე ვასილ აბაშმაძე ვასილ.

ბერძენიშვილი იოსებ, ბერძენიშვილი ესე, მგელაძე ისიდორე, შუბლაძე სიმონ, სიმონიშვილი ივანე, ფეშკოვი ალექსანდრე, იორაიშვილი ნესტორ, უნგიაძე პარმენ, ათანასოვი მანოლი, კვინტრაძე სარდიონ.

ქლენტი სოლომონ, პაიჭაძე ეფრემ, პაიჭაძე ალექსანდრე, ბოლქვაძე ყარამან, ბერაძე ალექსანდრე, უნგიაძე ლადიკო, მახარაძე იროდი, ბერაძე ივანე, პაიჭაძე ვლადიმერ, პაიჭაძე ერმილე.

ბერაძე ალექსი, უნგიაძე ნიკო, ქლენტი კაპიტონ, ბერაძე გიგო, პაიჭაძე კოსტა, პაიჭაძე მელიტონ, ბურჭულაძე მანასე, ახალაძე შალვა, ინწკირველი პოლიაკტორ გრეკოვი კაპიტონ.

გუბელიძე დიმიტრი, მჟავანაძე ილიკო, მჟავანაძე, პორფილე, ინწკირველი დათა, წიქარიძე თეოფილე, მჟავანაძე ილაკრი, იოსელიანი გიორგი, ნაჭყეპია მასიკო, მიქაშავიძე ნიკოლოზ, მელუა არსენ.

წიქარიძე გიორგი, ცქიტიშვილი დათიკო, ქლენტი პავლე, უჯმაჯურიძე ჯაბული, თავბერიძე ვასილ, ქლენტი დიმიტრი, ქორიძე ლიუდმილა, ფოცხიშვილი ლავრენტი, მეგრელიშვილი ალექსანდრე, ტიკარაძე სამუელ.

სარიშვილი აკაკი, გუჯაბიძე სამუელ, ხუტულაიშვილი ამირან, მეგრელიშვილი ვარლამ, ვასაძე სამსონ, ბლაგიძე იასონ, სარიშვილი არსენ, რუსიძე ლეონ, თავართქილაძე იპოლიტე ჯიჯიეიშვილი ნოე.

გუჯაბიძე ყაისარ, სარიშვილი კოლია, კვერენჩხილაძე კასიანე, ჯიჯიეიშვილი ილია, მგელაძე დავით, ოთიძე სტრატილატე, საჭია სამსონ, ხავთასი არტემ , ხავთასი შალვა, ურუშაძე გერმანე.

მექვაბიშვილი სოლონომ, კვირკელია ისიდორე, ქავთარაძე პორფილე, კვირკელია მელქის, რამიშვილი კონსტანტინე, ჩხარტიშვილი ლადიმე, გოგიბერიძე სერგო, ნემსაძე ივლიანე, შეწირული ვალოდი, მეგრელაძე ლავრენტი.

გუჯაბიძე ივლიანე, ნიკოლაიშვილი აკაკი, ვაშალომიძე სერაპონ, წიტიაშვილი სიო, კილურაძე კალისტო, სირიძე სარდიონ, ნიკოლაიშვილი ალექსანდრე, მჟავანაძე ესოფი, ინწკირველი გომენტი, ვაშალომიძე მამანტი.

ნიკოლიაშვილი სილიბისტრო, ვაშალომიძე რაჟდენ ასათიანი ალისტრახო, ჯინჭარეიშვილი პავლე, სეფერთელაძე მოსე, ასათიანი გიორგი, სეფერთელაძე პარმენ, სირაძე ოქროპირ, სირაძე მათე, ანდღულაძე ნესტორ.

სეფერთელაძე აქვსენტი, სეფერთელაძე ნოე, კილურაძე ივანე, სეფერთელაძე ვასილ, კილურაძე პლატონ, ნემსაძე მოსე, ჩხიკვაძე თედორე, ვაშალომიძე შალიკო, ლლონტი პართენ, ასათიანი იასონ.

ვაშალომიძე ონოფრე, ჭელიძე რუბენ, ნიკოლაიშვილი სერგო, სეფერთელაძე გერასიმე, სირაძე მიხაკო, სეფერთელაძე თომა, კილურაძე გიორგი, ანდღულაძე ისიდორე, კილურაძე ისიდორე, ერქომაიშვილი ელისე.

ნაჭყეპია ილია, ნემსაძე სერგო, ებგენიძე ანტიფო, შარაშიძე შალვა, ანდღულაძე კალისტე.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 64.